პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 41-ე წელი | № 289 (11900) | ხუთშაბათი, 15 დეკემბერი, 1960 წ. | ფასი 20 კაპ.

სტალინგრადის ჰიდროელექტროსადგურის მშენებელთა დიდი გამარჯვება

ელექტროსადგურების მშენებლობის სამინისტროს „სტალინგრადჰიდრომშენის“ მუშებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებსა და მოსამსახურეებს — სტალინგრადის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის ყველა მონაწილეს

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მხურვალედ ულოცავენ ელექტროსადგურების მშენებლობის სამინისტროს, „სტალინგრადჰიდრომშენის“, სამონტაჟო, სპეციალიზებული და საპროექტო ორგანიზაციების მუშებს, ინჟინრებს, ტექნიკოსებს, მოსამსახურეებს — სტალინგრადის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის ყველა მონაწილეს დიდ საწარმოო გამარჯვებას — ოცდამეერთე ჰიდროაგრეგატის ვადამდე ამუშავებას, რამაც შესაძლებელი გახადა 2 მილიონ 415 ათას კილოვატამდე გადიდებულიყო სიმძლავრე ელექტროსადგურისა, რომელიც ახლა ყველაზე დიდი ელექტროსადგურია მსოფლიოში.

ჰიდროელექტროსადგურმა უკვე გამოიმუშავა 6 მილიარდ კილოვატსაათზე მეტი იაფი ელექტროენერგია, რომლის თითქმის ნახევარი მიიღო მოსკოვმა.

ამავე დროს ჰიდროელექტროსადგურის მშენებლებმა ააგეს რკინიგზისა და ავტოგზის გადასასვლელები მდინარე ვოლგაზე ჰიდროკვანძის კაშხალით. შექმნილია 30 მილიარდ კუბურმეტრზე მეტი წყლის ტევადობის წყალსაცავი. რაც შესაძლებლობას იძლევა ელექტროსადგურში ელექტროენერგიის გამომუშავებასთან ერთად მნიშვნელოვანი ოდენობით განხორციელდეს ახლომდებარე მიწების მორწყვა. გაშენებულია ახალი სოციალისტური ქალაქი ვოლჟსკი და შენდება დიდი სამრეწველო საწარმოები.

ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის დროს მშენებლებმა, მემონტაჟეებმა და დამპროექტებლებმა გამოიყენეს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა პროგრესული ტექნიკური გადაწყვეტები და ინდუსტრიული მეთოდები, რამაც მნიშვნელოვანი ეკონომიური ეფექტი მოიტანა და ერთი წლით შეამოკლა ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის ვადა.

თქვენი სახელოვანი შრომითი გამარჯვება, ძვირფასო ამხანაგებო, ახარებს მთელ საბჭოთა ხალხს, რომელიც წმიდად ასრულებს დიდი ლენინის ანდერძს ჩვენი ქვეყნის მთლიანი ელექტროფიკაციის შესახებ.

ვუსურვებთ თქვენს კოლექტივებს შემდგომ წარმატებებს იმ საქმეში, რომ მოკლე ვადაში დაამთავრონ ამ უდიდესი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა, და ჩქარსონული მშენებლობის შეძენილი გამოცდილების საფუძველზე მიაღწიონ ახალ გამარჯვებებს — ვადამდე შეასრულონ პარტიისა და მთავრობის დავალებანი შვიდწლედის გეგმით გათვალისწინებული ენერგეტიკული და სხვა ობიექტების მშენებლობის შესახებ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი **სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო**

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორ ვიზარდეთ, როგორ დავმშვენდით!...

თგილისმა მხრეები გაშალა

ეს ორი სურათი თბილისის ცენტრალური მაგისტრალის — შოთა რუსთველის სახელობის პროსპექტის ერთი და იგივე ფერტილიდან არის გადაღებული. დაკვირდით მეორე სურათს. ფინა კლანზეა მეფის ნაცვლის სასახლე — ერთადერთი დიდი სახლი მაშინდელ თბილისში. მის ფინ „მიქრის“ ცხენის კონაკა. სასახლის პირდაპირ ქოხმახებია, ჯუჯებში გოძებზე ფარნებია ჩამოკიდებული.

ასეთი იყო თბილისის ყველაზე საუკეთესო პროსპექტი, მისი გული ოთხიოდე ათეული წლის წინათ.

შეხედეთ პირველ სურათს. რა კონტრასტია! ხეივნებსა და ყვავილნარებში ჩამჯდარ პროსპექტს ორივე მხრიდან ამშვენებს შესანიშნავი ნაგებობები: მთავრობის სასახლე — სვეტებიით, თაღებითა და ქართული ორნამენტებით დამშვენებული უზარმაზარი შენობა. საქართველოს მუზეუმი, თეთრი გრანიტით მოპირკეთებული კაშიერგაბმულობის სახლი, რუსთველის სახელობის კინოთეატრი.

გაბიერ და კეთილმოწყობილ პროსპექტზე დაჰქრიან სხვადასხვა ფერის, სხვადასხვა მარკის მსუბუქი ავტომანქანები. კომფორტაბელური ტროლეიბუსები, ავტობუსები.

ყოველი ახალი წელი ახალ სილამაზეს მატებს რუსთველის პროსპექტს.

გაივლის კიდევ ორი თვე, საბჭოთა საქართველო, მთელ საბჭოთა ხალხებთან ერთად, იზეიმებს გამარჯვების 40 წლისთავს. მოზეიმე აღმიანებს ყველაზე უწინ გულს გაუხსნის თბილისის დედა-პროსპექტი. დიდი შოთას პროსპექტი და დაულოცავს მარჯვენას, მოუწოდებს შრომასა და ბრძოლაში წარმატებებს.

ძველი თბილისის ფერმკრთალი სურათები ახლა მუზეუმებშია შემონახული. იმისათვის, რომ თვალსაჩინო გახდეს, თუ როგორ ბიზარდეთ, როგორ დამშვენდით, თუ როგორ გაშალა მხრები ჩვენმა დედაქალაქმა, გაზეთი „კომუნისტი“ დღეიდან იწყებს ძველი და ახალი თბილისის სურათების — ფოტოდოკუმენტების გვერდას.

ახალ ზღუდეებზე საიერიშოდ

ქალენდარზე უკანასკნელი ფურცლები დარჩა. იწურება 1960 წელი — ოდი ემსახურა ჩვენს ქვეყანას!

1960 წელი კომუნიზმის მშენებლობაში ჩვენი სამშობლოს სასახელო გამარჯვებათა წელია, მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებისათვის საბჭოთა ხალხების დაუცხრომელი ბრძოლის წელია. ეს არის წელი, რომელმაც ნათლად დაანახვა მთელ კაცობრობას, რომ ფარბატებით სრულდება სკკპ XXI ყრილობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებანი. მომდინარე წლის მუშაობის არსრული ცნობები ცხადყოფს, რომ შვიდწლიანი გეგმა ვადაზე ადრე შესრულდება.

ახალი მძლავრი აღმავლობის გზაზეა ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკა. სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა ფართოდ გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება შვიდწლედის მეორე წლის დასრულებათა ვადამდე შესრულებისათვის და ახალი გადიდებული ვალდებულებები აკისრეს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავის აღსანიშნავად. დაუღალავი, ენერგიული შრომის შედეგად საქართველოს მრეწველობამ პროდუქციის გამოშვების 11 თვის გეგმა 103,8 პროცენტით შეასრულა. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით პროდუქციის გამოშვება 7,9 პროცენტით გაიზარდა. მიღებულია რამდენიმე ათეული მილიონი მანეთი ზეგეგმითი დაგროვება.

მოწინავე საწარმოთა კოლექტივებმა ფაფადდებული შრომით კიდევ უკეთესი მაჩვენებლები მიაღწიეს, ვადამდე შეასრულეს წლიური გეგმები, წლიური გეგმა 21 დღით ადრე გაანაღდა მძიმე მრეწველობის ისეთმა დიდმა საწარმომ, როგორიც არის ამიერკავკასიის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხანა. გეგმის ვადამეტებით დიდი რაოდენობით გამოშვებულია თუჯი, ფოლადი, ნაგალინი, მილები და სხვა პროდუქცია. მეტალურგებმა ორი თვით ადრე შეასრულეს ნაკისრი წლიური ვალდებულება — პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით შვიდწლედის რესპუბლიკურ ფონდში შეეტანათ 12 მილიონი მანეთი.

რესპუბლიკაში ერთიულები როდი არიან მოწინავე საწარმოები. ბევრმა ქარხანამ, ფაბრიკამ, შახტმა და მაღარომ ვადადებული შრომით უზრუნველყო წლიური გეგმის ვადამდე შესრულება და ასევე დიდი ხანია პროდუქციას იძლევა 1961 წლის ანგარიშში.

რესპუბლიკის მოწინავე საწარმოების ბერდით, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არიან ისეთი საწარმოები, რომლებმაც ჯერ აუწიეს მუშაობა, ნაკლებად ზრუნავენ ახალი ტექნიკისა და მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვისათვის. ჩამორჩენიან გეგმების შესრულებაში. სამშობლოს აკლდებენ მეტად საჭირო პროდუქციას, ფართო მოხმარების საქონელს.

ჭიათურელი მაღაროელები წელს ცუდად როდი მუშაობენ. მეტი და მაღალხარისხოვანი მარგანეცისათვის შეუპოვრად იბრძვიან კალინინის, სტალინის, დიმიტროვისა და ორჯონიკიძის სახელობის მაღაროთა კოლექტივები, რომლებიც კარგა ხანია შვიდწლედის მესამე წლის ანგარიშში იძლევიან მარგანეცს, მაგრამ კვლავ სამარცხვინოდ ჩამორჩებიან ლენინის სახელობისა და ახალი ითხვისის მაღაროები. ეს მაღაროები აფერხებენ მეტალურგიული ქარხნებისათვის მარგანეცის გაგზავნას.

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში და ჩვენი ქვეყნის მეტალურგიულ ქარხნებში მარგანეცის მიუწოდებლობით ხშირად ცდება ღუმელები, მცირდება ფეროშენადნობთა გამოშვება, ეს კი იწვევს ფოლადის გამოდნობის შემცირებას.

წელს ცუდად იმუშავეს ელექტრომრეწველობისა და ხელსაწყოთმშენებლობის საწარმოთა კოლექტივებმა, მათ 11 თვის დავალება 97,2 პროცენტით შესრულეს, სამშობლოს დააკლეს მეტად ძვირფასი მრავალი სახის ხელსაწყოები.

მაგრამ არის იმის ფაქტებიც, როცა ბევრი საწარმო და მრეწველობის ზოგიერთი დარგები გეგმებს ასრულებენ. მაგრამ უხეშად არღვევენ ტექნოლოგიურ პროცესებს, არ იცავენ სტანდარტს, ასორტიმენტს, გამოშვებული პროდუქციის საგრძნობი ნაწილი უხარისხოა. ხარისხის სახელმწიფო ინსპექცია და სავაჭრო ორგანიზაციები იძულებული არიან უკან დაუბრუნონ საწარმოებს ფართო მოხმარების ბევრი უვარგისი ნაწარმი.

მაგალითად, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის სისტემაში შემავალი საფეიქრო და საფეიქრო-საგალანტერეო საწარმოები გეგმებს ასრულებენ, მაგრამ სერიოზულად შეასუსტეს ყურადღება პროდუქციის ხარისხისადმი. მიმდინარე წელს ხარისხის სახელმწიფო ინსპექციამ შეამოწმა ამ საწარმოების მიერ გამოშვებული პროდუქციის 120.807 პირობითი ერთეული. აქედან მაღალი ხარისხიდან დაბალ ხარისხში გადაყვანილია 36 პროცენტი, ხოლო წარმოებას შესაკეთებლად უკან დაუბრუნდა შემოწმებული პროდუქციის 18,5 პროცენტი. ასევე ცუდად მუშაობენ და მოპმბარებელთა სამართლიან საყვედურს იმსახურებენ ტრიკოტაჟის საწარმოები. შემოწმებული 60 ათასი ერთეულიდან საწარმოებს უკან დაუბრუნდათ 23,2 პროცენტი.

ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროს ავიჯის ფაბრიკების მიერ გამოშვებული ნაწარმი სამარცხვინოა, მას მომხმარებელი სრულებით არ ეტანება. შემოწმებული 4.450 ერთეულიდან თითქმის ნახევარი უვარგისი აღმოჩნდა მოსახმარებლად. ზოგიერთი საწარმო ამდენად დაბალი ხარისხის ნაწარმს უშვებს, რომ ვაჭრობის საბინისტრო იძულებულია აკრძალოს მისი რეალიზაცია.

ასეთ საწარმოთა ხელმძღვანელებს, პარტიულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებს ავიწყდებათ, რომ ჭუნდებული პროდუქციის გამოშვებით ეფარესებენ წარმოების ეკონომიურ მაჩვენებლებს, სახელმწიფოს მილიონობით მანეთ ზარალს აყენებენ.

ამოცანა ნათელი და გარკვეულია. საწარმოთა სამეურნეო ხელმძღვანელებმა, პარტიულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა ამთავითვე უნდა შეიისწავლონ წარმოების შესაძლებლობანი, გათვალისწინონ მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი, დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი და ახალი სამეურნეო წლის პირველი დღეებიდანვე ისე მოაწყონ მუშაობა, რომ გეგმას ყველა მაჩვენებლების მიხედვით ყოველდღიურად ასრულებდეს არა მარტო საწარმო, მაღარო და შახტი, არამედ თვითეული საამქრო, ბრიგადა, ცალკეული დამკვრელები.

მაღალი ჯილდო

ლორან კაზანოვას გადაეცა „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემია

პარიზი. 13 დეკემბერი. (საკდესი). დღეს პარიზის სასტუმრო „პალე დ'ორსეს“ დარბაზში „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემია გადაეცა. გამოჩენილ ფრანგ მშვიდობისთვის მებრძოლ ლორან კაზანოვას.

საზეიმო ცერემონიაზე მოვიდნენ ჟ-ნი ივ თარეი, გუსტავ მონნი, ჟან მადელი, ლეონ არაგონი, ჟ-ნი ეიენი კოტონი, ემანუელ დ'ასტიე დე ლა ვიჟერი, პიერ კოტი, ბენუა ფრაშონი და საფრანგეთის საზოგადოებრიობის სხვა თვალსაჩინო წარმომადგენლები. დამსწრეთა შორის არიან საბჭოთა საზოგადოებრიობის დელეგაცია კონონენკოს ს. ბერასიმოვის მეთაურობით, რომელიც ამჟამად პარიზში იმყოფება საფრანგეთის მშვიდობის ეროვნული საბჭოს და ასოციაციათა „საფრანგეთ-სსრ კავშირის“ მოწვევით.

ლაურეატს გულთბილი მისასალმებელი სიტყვით მიმართა საერთაშორისო ლენინური პრემიების კომიტეტის თავმჯდომარემ ალადმიკოსმა დ. ვ. სკობელცინმა. დ. ვ. სკობელცინმა დამსწრეთა ტაშის გრიალში გადასცა ლორან კაზანოვას საერთაშორისო ლენინური პრემიის ლაურეატის მედალი და დიპლომი.

გამოჩენილ ფრანგ მოღვაწესა და მშვიდობისათვის დაუცხრომელ მებრძოლს გულთბადად მიუსალმეს ავრეთვე ლეო არაგონმა, პიერ კოტმა, ეიენი კოტონმა, დ'ასტიე დე ლა ვიჟერმ.

ლორან კაზანოვამ საპასუხო სიტყვაში მადლობა გადაიხადა მაღალი ჯილდოსათვის და პირობა მისცა დამსწრეთ, რომ იგი მთელ ფრანგ ხალხთან ერთად მშვიდობის დიადი საქმისათვის ბრძოლას მოახმარს თავის ძალებს.

საბჭოთა მთავრობის ნოტა

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისადმი ლაოსის ამბების შესახებ

13 დეკემბერს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ ვ. ვ. კუზნეცოვმა მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი მოსკოვში ლ. ე. ტომპსონი და გადასცა მას საბჭოთა მთავრობის ნოტა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისადმი ლაოსის ამბებთან დაკავშირებით.

თავის ნოტაში სსრ კავშირის მთავრობა აღნიშნავს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები, თელავენ რა ლაოსის მთავრობის სეფერენულ უფლებებს, ახლა აშკარად უშვერენ მხარს ნოსავანის მეამბოხეთა დაჯგუფებას, ამარაგებენ მას შეიარაღებით, სამხედრო ტექნიკით, საომარი მასალებითა და ფულით. ყოველივე ეს იმაზე მიუთითებს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა უხეშად არღვევს ჟენევის 1954 წლის თათბირის საბოლოო დეკლარაციის მე-12 მუხლს ინდოჩინეთის შესახებ. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ცდილობს იიძულოს ლაოსელი ხალხი უარყოს არჩეული გზა — მშვიდობის, ნეიტრალიტეტისა და ეროვნული ერთიანობის პოლიტიკის გზა — და კვლავ ჩააყენოს ლაოსი სამხედრო ბლოკებისა და აგრესიული მზადების პოლიტიკის სამსახურში.

საბჭოთა მთავრობა თავის ნოტაში მტკიცედ გამოდის ლაოსის საშინაო საქმეებში ამერიკის შეერთებული შტატების ჩარევის წინააღმდეგ და გმობს ამ ჩარევას. სსრ კავშირის მთავრობა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას აკისრებს აგრეთვე მთელ პასუხისმგებლობას იმ შედეგებისათვის, რომლებიც შეიძლება მოჰყვეს ამერიკის შეერთებული შტატებისა და სეატოს სამხედრო ბლოკში ზოგიერთი მისი მოკავშირის აგრესიულ მოქმედებას ლაოსელი ხალხის მიმართ. (საკდესი).

საგრძოლო გზა

გაზეთ „სოვეტაკან ვრასტანს“ 40 წელი შეუსრულდა

დღეს სრულდება 40 წელი მას შემდეგ, რაც დაარსდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საბრძოლო ორგანო გაზეთი „სოვეტაკან ვრასტანი“.

ეს შესანიშნავი თარიღი დაემთხვა იმ დროს, როცა ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები დიდი ენთუზიაზმით ებრძვიან, რათა იდღესასწაულონ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საბჭოთა კავშირის დიდი კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი უძველესი მებრძოლი რაზმის — საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის ორმოცი წლისთავი.

გაზეთ „სოვეტაკან ვრასტანის“ მიერ განვლილი ორმოცი წლის გზა განუყრელადაა დაკავშირებული მთელ გმირულ ბრძოლასთან საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის, მისი განმტკიცებისათვის, იმ დიდი სოციალისტური გარდაქმნებისათვის, რომლებიც განხორციელდა ჩვენს რესპუბლიკაში კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით დიდი რუსი ხალხისა და საბჭოთა კავშირის სხვა ხალხების ძმური დახმარებით.

ამ წლების განმავლობაში გაზეთი „სოვეტაკან ვრასტანი“, რომელიც მუდამ იყო ბოლშევიკური პრესის ტრადიციების ერთგული, მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისმძლე იდეების პროპაგანდას ეწეოდა, ზრაიდა მასეს სოციალისტური პატრიოტიზმის, ხალხთა მეგობრობის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, აღიართოალანებდა და რაზმავდა მშრომელებს ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენებისათვის საბრძოლველად. გაზეთი, არის რა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ერთგული თანაშემწე, ღირსეულად ახორციელებს მასების კოლექტიური პროპაგანდისტის, აგიტატორისა და ორგანიზატორის როლს.

„სოვეტაკან ვრასტანის“ წინამორბედნი იყვნენ გაზეთები „კარმირ ასტეი“ („წითელი ვარსკვლავი“), „მარტაკოჩი“ („საბრძოლო მოწოდება“) „პროლეტარი“ და „ხორჰრდაინ ვრასტანი“.

რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციებისადმი დახმარება მასების მობილიზაციაში სკკპ XXI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, შვიდწლიანი გეგმის დავალებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის — აი რისთვის არის გამიზნული ამჟამად „სოვეტაკან ვრასტანის“ მთელი მოღვაწეობა. გაზეთი სისტემატურად აშუქებს პარტიულ ორგანიზაციათა მუშაობას, სამეურნეო საწარმოთა კოლექტივების, საკოლმეურნეო სოფლის წარმოების მუშაკების, ინტელიგენციის შემოქმედებით შრომას. იგი ახარებს სომეხ მშრომელებს ფორმით ეროვნულსა და შინაარსით სოციალისტურ ქართულ კულტურას.

გაზეთის, ისე როგორც მთელი საბჭოთა პრესის მუშაობაში, განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებს „პარტიული ბრძოლისა და ამოცანების შესახებ თანამედროვე პირობებში“ და „საბჭოთა პრესისა და რადიოში საზოგადოებრივ საწყისთა შემდგომი განვითარების შესახებ“. ახორციელებს რა ამ დადგენილებებს, „სოვეტაკან ვრასტანმა“ მიაღწია პროპაგანდისტული, სტატიების ხარისხის გარკვეულ გაუმჯობესებას.

გაფართოვდა გაზეთის ავტორთა აქტივი. მის ფურცლებზე უფრო ხშირად გამოდიან პარტიული და საბჭოთა მუშაკები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, წარმოების ნოვატორები...

გაზეთი „სოვეტაკან ვრასტანი“, რომელსაც აქვს ორმოცი წლის მუშაობის მდიდარი გამოცდილება, განუზრელად ხელმძღვანელობს რა პარტიის XXI ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების დადგენილებებით, ეცდება რა მუშათა და სოფლის კორესპონდენტებსა და ავტორთა აქტივს, კიდევ უფრო ამაღლებს თავის როლს მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში.

(საკდესი).

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

გაზეთ „კუტაისაკაია პრავდის“ რედაქტორის ამხ. ვ. ი. ლალიაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

დაბადების სამოცი წლისთავთან დაკავშირებით და პრესაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის გაზეთ „კუტაისაკაია პრავდის“ რედაქტორი ამხ. ვალერიან ივანეს-ძე ლალიაშვილი დაჯილდოდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ქოფენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. გელდიაშვილი

ქ. თბილისი, 1960 წლის 14 დეკემბერი.

დე გოლი პარიზს დაბრუნდა

პარიზი. 13 დეკემბერი. (საკდესი). პრეზიდენტი დე გოლი პარიზს დაბრუნდა ალჟირში მოგზაურობიდან.

დამნაშავე ჰოიზინგერს წარჩინება ეძლევა

ლონდონი. 13 დეკემბერი. (საკდესი). როგორც პრესა იუწყება, გერმანელი სამხედრო დამნაშავე გენერალი ჰოიზინგერი დღეს დანიშნა ნატოს სამხედრო კომიტეტის თავმჯდომარის პოსტზე.

გაზეთი „ივნინგ სტენდარდის“ კორესპონდენტი ტომ პოკოკი აღნიშნავს, რომ ამ დანიშვნას ნატოს ხელმძღვანელ წრეებში აკრიტიკებენ, როგორც „უტაქტო და უკიდურესად პროვოკაციულს“.

მდგომარეობა ალჟირში კვლავ დაძაბულია

პარიზი. 13 დეკემბერი. (საკდესი). ალჟირიდან მიღებული ცნობების მიხედვით, შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ მსხვილ ქალაქებში თავმყარდება ჯარები და ჟანდარმერია, მდგომარეობა კვლავ დაძაბულია. ქალაქ ორანში დღეს ღილით ორი ათასამდე ევროპელმა სცადა შეჭრილიყო ალჟირის უბნებში, რათა რბევა მოეწყო იქ. ქალაქში წინანდებურადვე სამხედრო წესებია შემოღებული; ჟანდარმერიისა და ჯარების დიდი ძალები ქალაქის ქუჩებსა და მის მიდამოებში განლაგდნენ.

პარიზის საღამოს გაზეთების კორესპონდენტის მიერ აღწერის მიხედვით, ქალაქ ალჟირს ჯერ კიდევ ანრნია ამასწინანდელი სასტიკ შეტაკებათა კვალი. ბევრ ქუჩაში სახლების ფანჯრებში არცერთი მთელი მინა არ დაჩენილა. მაღაზიების ვიტრინებზე, კინოთეატრებსა და კაფეების კარებზე ჯვარედინად აკეთილია ფიცრები, ქვაფენილები სავსეა ნამსხვრევებით, დამტვრეული მინით, ბარიკადების აგების დროს ამოღებული ქვებით. როგორც ფრანს პრესის საააგენტო აღნიშნავს, პოლიციამ „დოკუმენტების შესამოწმებლად“ დააკავა ექვსი ათასამდე ალჟირელი; 400 მათგანი საპყრობილეში გიგზავნა. ქალაქს განუწყვეტლივ დასტრიალებენ თავს სამხედრო ვერტმფრენები.

ჯარისკაცები და ჟანდარმები გლეჯენ სახლებს ქალაქის ალჟირელთა უბნებში განთავისუფლების ეროვნული ფრონტის გადარჩენილ ალმებს და თხუპნიან ლოზუნგებს, ხლოვნებიც შეიცავენ მოწოდებას დამოუკიდებელი ალჟირის რესპუბლიკის შესაქმნელად. დღისით სასოფლოზე კიდევ დამარხეს ჯარებთან და ულტრაკოლონიალისტებთან ამასწინანდელ შეტაკებათა დროს დახოცილი ალჟირელები. პოლიციელთა კორდონის მიუხედავად, სასოფლოზე დიდძალი ალჟირელები შეიკრიბნენ ეროვნული განთავისუფლების ფრონტის დროშებით. გაისმოდა შეძახილები: „გაუმარჯოს ფერჰათ აბასს! გაუმარჯოს ალჟირელთა ალჟირს!“.

ფრანგი ხელისუფლები ახორციელებენ ლონისძიებებს ნორმალური ცხოვრების აღსადგენად; გაიცა ზრძანება გაეღონ ყველა მაღაზია, მეცადინეობა განახლდა ბევრ სასწავლებელში. ნაწილობრივ აღდგენილია ტრანსპორტის მოძრაობა.

ქალაქებში — ბლიდაში, სეტიფსა და კონსტანტინაში ჯერ კიდევ ანრნია ალჟირელთა დემონსტრაცია „ალჟირელთა ალჟირი“. ამ ქალაქებში აგრეთვე გაიგზავნა ჯარები.

ამერიკის შეერთებული შტატები რაკეტულ ბაზას ამენენგენ ვენესუელაში

მეხიკო, 14 დეკემბერი. (საკდესი). მექსიკის გაზეთი „პრენსა ლიბრე“ იუწყება, რომ ვენესუელის პრეზიდენტმა ბეტანკურმა საიდუმლო სამხედრო ხელშეკრულება დადო შეერთებულ შტატებთან. ამ ხელშეკრულების მიხედვით, ვენესუელამ ამერიკის შეერთებულ შტატებს მიანიჭა უფლება თანამედროვე სამხედრო ბაზა შექმნან ვენესუელის ტერიტორიაზე. სამხედრო ბაზის მშენებლობა უკვე დაწყო. გაზეთი აღნიშნავს, რომ ბაზას ექნება დანადგარები მართული ყუმბარებისა და ატომმუხტიანი რაკეტების გასაშვებად. გაზეთის მონაცემებით, ეს ბაზა გაციცლებით უფრო დიდი იქნება, ვიდრე ამერიკის ბაზა პუერტო-რიკოში. ბაზის მშენებლობა 100 მილიონ დოლარზე მეტი დაჯდება.

ანტუან გიზენგას განცხადება

ნიუ-იორკი. 13 დეკემბერი. (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის საააგენტოს კორესპონდენტი იუწყება, კონგოს პრემიერ-მინისტრის პატრის ლუმუმბას მოადგილემ ანტუან გიზენგამ დღეს გამოაცხადა, რომ პრემიერ-მინისტრის მოვალეობას კისრულობს იმ დროისათვის, სანამ ლუმუმბა დაპატიმრებულია.

გიზენგამ კონგოს დედაქალაქად გამოაცხადა ქალაქი სტენლივილი.

აჰარელი მსახიობები ხართუმს გაფრინდნენ

დამასკო, 14 დეკემბერი. (საკდესი). აბარის ასსრ სომეხრისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლმა დაამთავრა თავისი გასტროლები არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის სირიის რაიონში და 14 დეკემბერს კაიროს გაფრინდა, საიდანაც შემდეგ ხართუმს გაემგზავრება.

ანსამბლმა დამასკოსა და ალეპოში გამართა 8 კონცერტი, რომლებსაც დაესწრო დაახლოებით 10 ათასი კაცი.

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომი იუწყება, რომ დღეს, 15 დეკემბერს მოწვეულია თბილისის მშრომელთა დეპუტატების მე-7 მოწვევის საქალაქო საბჭოს მე-10 სესია.

სესია გაიხსნება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში (რუსთველის პროსპექტი № 8) დღის 12 საათზე.

ასე მსჯელობდნენ სიღნაღელები

რაიონულ პარტიულ კონფერენციებზე

მაღარა, მაგრამ მარად ახალგაზრდა სიღნაღს, რომელიც ამაყად გადაჰყურებს ცის დასალიერამდე გაშლილ ალაზნის ველს, დიღლაადრიან ეწვევნენ რაიონული პარტიული კონფერენციის დელეგატები — რჩეულთა შორის რჩეულნი.

ნუკრიანის კოლმეურნეობა „პარიზის კომუნის“ კომუნისტებს კონფერენციის დელეგატად საქართველოს სსრ დამსახურებული მექანიზატორი ი. ბაიდოშვილი აურჩევიათ. იგი ასეთი დფფასების ღირსიც არის. შვიდწლედის მეორე წელს მისმა ბრიგადამ რაიონში, მთელ რესპუბლიკაში გაითქვა სახელი. ექვსასი ჰექტარი სიმინდისა და 124 ჰექტარი მზესუმზარას ნათესი მექანიზმებით დაამუშავა. შედეგიც სასიხარულო მიიღო. დაზოგა ოცი ათასი შრომადღე. 50 პროცენტით შეამცირა თვითეული ცენტნერი სიმინდის თვითღირებულება.

უფრო ენერგიული მუშაობა გააჩაღა ბრიგადამ მომავალი წლის უხვი მოსავლისათვის. საფუძვლის ჩასაყრელად 1.900 ჰექტარი მზრალად მოხნა. ბრიგადამ მარტო მინდვრად რიდი იმარჯვა. მეცხოველეობის ფერმებში შრომატევად სამუშაოთა მექანიზაცია განახორციელა. მექანიზატორების დამსახურებაც არის ის, რომ ნუკრიანელებმა მეცხოველეობის სულადობის გეგმები ვადამდე გადამეტებით შეასრულეს. თვითეულ საფურაჟე ძროხაზე თერმეტ თვეში 1.870 ლიტრი რძე მოწველეს. ეს ოთხჯერ მეტია იმაზე, რაც ხუთი წლის წინ მიიღეს.

— ნუკრიანელთა წარმატება, — თქვა პარტიის რაიკომის საანგარიშო მოხსენებაში რაიკომის პირველმა მდივანმა ზ. ბიძინაშვილმა, — ცოცხალმა ორგანიზატორულმა მუშაობამ განაპირობა. პარტიულმა ორგანიზაციამ კოლმეურნეები დარაზმა შვიდწლედის ზღუდეების ასაღებად. კომუნისტები ავანგარდში არიან. და განა მარტო ნუკრიანში? ასეა მთელ რიგ სხვა კოლმეურნეობებშიც.

მეცხოველეობას რაიონის სოფლის მეურნეობის ეკონომიკაში წამყვანი როლი ეკუთვნის. კოლმეურნეობათა ფულადი შემოსავლის 60-65 პროცენტი ამ დარგზე მოდის. მეცხოველეობაში გაწეული მუშაობის ანალიზს დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი როგორც მოხსენებამი, ისე დელეგატთა გამოსვლებში. რაიონმა გეგმები გადამეტებით შეასრულა. კოლმეურნეობებმა სახელმწიფოს 487 ტონით იმაზე მეტი ხორცი მიჰყიდეს, ვიდრე შარშან. მატყლის მიყიდვის დავალება 108 პროცენტით გაანადღეს, კვერცხისა — 140 პროცენტით.

კონფერენციის დელეგატებმა დიდი გულისყურით მოისმინეს საქობოს კეცხოველის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარის ი. ძანაშვილის სიტყვა. მან თქვა:

— ჩვენს კოლმეურნეობაში მეცხოველეობა ძძლავრი აღმავლობის გზაზეა. გეგმის გადამეტებით დიდძალი მსხვილეზეხა რქიანი პირუტყვი, ღორი და ფრინველი გვყავს. ხორცის წარმოება ოთხჯერ გავადიდეთ. რძისა — ორჯერ, კვერცხისა — თხუთმეტჯერ. სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით მივყიდეთ ასობით ცენტნერი ხორცი და რძე. პრაქტიკაში დავნერგეთ ღორების იალაღებზე გასუქება კონცენტრირებული საკვების გამოყენებლად. ამით ცენტნერი ხორცის თვითღირებულება 150 მანეთამდე შევამცირეთ.

მაგრამ ყველგან ასე როდია საქმე. მთელ რიგ კოლმეურნეობებში მეცხოველეობა სათანადო ყურადღებით არ სარგებლობს. დელეგატებმა ი. მირიანაშვილმა და ვ. მაზიაშვილმა ამის დასადასტურებლად მრავალი ფაქტი მოიყვანეს. მათ აღნიშნეს, რომ ჯოგში ძროხების სულადობა ძალზე მცირეა. ას ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე მხოლოდ 3,5 ძროხა მოდის. მოუხედავად ამისა, კოლმეურნეობებმა წელს 1.436 სული ძროხა და 402 სული უშობელი ჩაბარეს ხორცის დამამზადებელ პუნქტებს. ამ მხრივ ყველაზე მეტად ტიბაანის კოლმეურნეობამ გაითქვა სახელი.

არ გეგონოთ ეს გოგონა რომელიმე „სასწაულმოქმედი“ მანქანის საჭესთან იდგეს და მის მუშაობას აწესრიგებდეს. არა, იგი გორის რაიონის სოფელ მერეთის კოლმეურნეობის მწველავი ნანული ქისიშვილია. ამ ხელსაწყოთი მექანიზებული წესით ასრულებს ფერმაში ზოგიერთ სამუშაოს, 13 ძროხას უვლის და შედეგიც კარგი აქვს: წელს გეგმით თვითეულ ძროხაზე 1.400 კილოგრამი რძე უნდა მიეღო, უკვე მიიღო 1.680 კილოგრამზე მეტი, მაგრამ ახლა ამასაც აღარ სჯერდება.

— სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის აღსანიშნავად წლის ბოლომდე კვლავ გავზრდი წველადობას, ისე რომ თვითეულ ძროხაზე 1.800 კილოგრამი რძე მივცე სამშობლოს, — ამბობს ნანული და ეჭვი არ უნდა შევიტანოთ, რომ დაპირებას შეასრულებს.

* * *

სურათზე: მწველავი ნ. ქისიშვილი.

ფოტო ი. დავითაშვილისა.
(საქდესის ფოტოკრონიკა).

ეს არ იყო წინათ

მრეწველობის სიყვარული

ერთვანი ბიბ-ი ...

ამჟამად ხოფელი—ახე ეწოდებოდა წინათ 26 კომისრის რაიონის ახლანდელ სამრეწველო უბანს. ფეხსაცმლის ფაბრიკისაკენ მიმავალი მთავარი მაგისტრალით თუ წახვალთ, ფაბრიკამდე ტრამვაის რრი გაჩერების წინ დაინახავთ ახალ დიდ კორპუსს. ჯერ კიდევ ცოტა თბილისელი იცნობს ამ საწარმოს, თუმცა მისი პროდუქცია უკვე ცნობილია მოსკოვსა და ირკუტსკში, სტალინგრადსა და ალმა-ატაში, რიგასა და ფრუნზეში და ჩვენი ქვეყნის ბევრ სხვა ქალაქში.

საწარმოს სახელწოდებაც არაჩვეულებრივი აქვს — „მიკროძრავი“. ეს ქარხანა უშვებს მიკროელექტრომოტორებს, რომლებიც ეხოდენ ეხაჭიროება ჩვენს მრეწველობას. ეს ძრავები თუ არ იქნა, ვერ გაკეთდება სარეცხი მანქანები და მტვერსასრუტ ე ბ ი, ვენტილატორები და ელექტრობით მომუშავე ხაკერავი მანქანები...

* * *

ნათელ დიდ ხაამქროში გრძელ მწკრივებად დგას პატარა მაგიდები, რომლებსაც მუშაქალები უსხედან. ერთ-ერთ ასეთ მაგიდასთან დახრილა შავთმიანი ქალიშვილი. მისი მარდი ხელები სწრაფად იღებენ ოქროსფერი მავთულის გორგალს და მარჯვედ ახვევენ მომავალი მოტორის უძრავი ნაწილის — სტატორის კოლებში.

— ეს ყველაზე პასუხსაგები და რთული უბანია ქარხანაში, — ამბობს ოსტატი ამირან თავბერიძე. — სადენის ოდნავ არაზუსტი იზოლაციი წუნდებულ მოტორს მოგვცემს.

მაგრამ მგრაგნელი ზაირა ფურცელაძე, რომელსაც ჩვენ ვესაუბრებით, ჩანებულად არის დაუფლებული მისთვის დაკისრებულ საქმეს.

— დიდი ხანია ქარხანაში მუშაობთ? — ვეკითხებით მას.

— მალე ორი წელიწადი შეხრულდება. მაგონდება, ჩემთან ერთად როგორ მოვიდნენ ქარხანაში მზია ჭანტურია, მედეა განიკოვა, ქართლოს კვეხაძე და სხვა ქალიშვილები და ჭაბუკები. რის გაკეთება იცითო, გვკითხეს კადრების განყოფილებაში. ქარხანას სპეციალისტები ესაჭიროება — ვისწავლით, დავეუფლებით სპეციალობასა და კომუნისტური შრომის ბრიგადის წოდებისათვის იბრძვის.

სანამ ზაირას ვესაუბრებოდით, მისი ბრიგადიდან მოდიოდა გრაგნელიანი მზა სტატორები შემდგომი აწყობისათვის. გრძელ მაგიდაზე ამწყობები მუშობენ მაჭარაშვილი და გივი გოგნიაშვილი პნევმატური იარაღით ამთავრებდნენ მოტორების აწყობას. ხასიამოვნო სანახავი იყვნენ ეს მარჯვე ახალგაზრდები, რომელთა ხელიდან მზა პროდუქცია გამოდიოდა.

* * *

აბრამ ახალი მოტორის გამოსაშვებად საჭირო იყო ალუმინის მსუბუქი კორპუსის დამზადება, ავრეთვე მოტორის ღუზის ამოვსება ალუმინით. წნევით მიღებული ხმელი — აი რა იყო საჭირო მოტორის კორპუსის დასამზადებლად. ეს სამუშაო თბილისის ერთ-ერთ ქარხანას დაევალა. მაგრამ ეს კოოპერირება ვერ მოხერხდა. ქარხანა დროზე და ხაკმაო რაოდენობით ვერ იღებდა სხმულს. და მაშინ დადგა საკითხი, რომ უშუალოდ ქარხანაში მოეწყოთ წნევითი სხმულის წარმოება უბანი. მიღებულ იქნა სამი სპეციალური ჩარხი. ამ ჩარხებზე მუშაობა დაევალათ ქარხნის უფროს ტექნოლოგს ავთანდილ ზარნაძეს და მანქანების გამწყობს გივი ხულუხიას.

თავდაპირველად ბევრი იყო უწესივრობა, სხმული წუნდებული გამოდიოდა. ერთხელ წერილი მოვიდა ალმა-ატიდან. წერილში ნაოქვამი იყო, თბილისიდან მიღებული მოტორების პარტია უხარისხო აღმოჩნდაო. გამოცდის დროს ის ნაკეთობანი, რომლებზეც დადგმული იყო ქარხანა „მიკროძრავის“ მოტორები, სამძლავრეს კარგავდნენ, ხოლო რამდენიმე წუთის შემდეგ ხაერთოდ ჩერდებოდნენ. ეს ხაკითხი გულდასმით იქნა შესწავლილი ქარხანაში. აღმოჩნდა, რომ ღუზების ალუმინით ამოვსების დროს ზოგიერთ ადგილას სხმული წყდებოდა. და მაშინ საამქროში დადგმულ იქნა სპეციალური ხელსაწყოები ღუზების ვარგისიანობის შესამოწმებლად მანამდე, სანამ ისინი მოტორს გაუკეთდებოდა. ეს გამორიცხავდა არაკეთილხარისხოვანი მოტორების გამოშვების შესაძლებლობას.

* * *

შვიდწლედის ახალ წელიწადში რა ახალ პროდუქციას გამოუშვებს ხაწარმო?

ქარხნის დირექტორი ამბერკი ბოხუა კარადიდან იღებს ორიგინალური კონსტრუქციის ვენტილატორს. ლითონის მსუბუქ ზამბარაზე დადგმულია სამ გამჭვირვალე ლაპოტიანი ვენტილატორის პლასტმასის კორპუსი. ეს კონსტრუქცია შეუშავებულია საქართველოს სამეცნიერო-საკვლევ ელექტროტექნიკურ ინსტიტუტში და ახლა მიღებულია გამოსაშვებად. ამ ვენტილატორზე, რომელიც უხმაუროდ მუშაობს, ადვილად სარეგულირებელი და უსაშიროა, დიდი მოთხოვნილება იქნება.

— ჩვენ, — განაგრძობს დირექტორი — დავამზადებთ მოტორებს დიდი თვითმბრუნავი ვენტილატორებისათვის, ავთვისებთ ელექტროძრავებს ახალი მტვერსასრუტებისათვის, სარეცხი მანქანებისათვის. ჩვენი ქარხნის კოლექტივს ჯერ კიდევ დიდი შრომა დასჭირდება, რომ რაც შეიძლება უკეთ და დიდი ასორტიმენტით დაკმაყოფილოს საბჭოთა ადამიანების მოთხოვნილება.

ვლ. გინზბურგი.

* * *

სურათებზე: (ზევიდან ქვევით) ქარხნის მოწინავე მუშა ზაირა ფურცელაძე; ახალი ვენტილატორის ნიმუში; ამწყობი მურმან მაჭარაშვილი.

ფოტო ავტორისა.



შვიდწლედის ტექნიკა—მასებს

რუსთავი. (საკ. კორ.). ამ დღეებში მეტალურგიულ ქარხანას ეწვია მოსკოვის პოლიტექნიკური მუზეუმის მეცნიერ მუშაკთა ერთი ჯგუფი. ისინი აქ ჩამოვიდნენ საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების მოწვევით. მოსკოველმა მეცნიერმა მუშაკებმა წაიკითხეს ლექციების ციკლი თემაზე „შვიდწლედის ტექნიკა — მასებს“.

რუსთავის მშრომელებმა განსაკუთრებული ინტერესით მოისმინეს ლ. �ევედევას ლექცია „ახალი ქიმიური მასალების გამოყენება ტექნიკასა და ყოფაცხოვრებაში“, კ. ბუდკინას ლექცია „მანქანათმშენებლობაში ელექტროტექნოლოგიის როლის შესახებ“ და სხვ.

მოსკოველ მეცნიერ მუშაკთა ლექციები მეტალურგებს გარდა მოისმინეს მშენებლებმა, ქიმიკოსებმა და მეცეამენტეებმა.

ყოველი ლექციის შემდეგ მსმენელებს უჩვენეს ტექნიკური ხასიათის დოკუმენტური კინოფილმები.

მოსამართლე — ხალხის მსახური

3არტია მიგვითითებს: კომუნიზმის გამარჯვების ინტერესები მოითხოვენ საბჭოთა დემოკრატიის ყოველმხრივ განვითარებას, საბჭოთა სახელმწიფოს მმართველობის ყველა სფეროში ფართო მასების ჩაბმას. თვითეული საბჭოთა ადამიანის აქტიურ მონაწილეობას საზოგადოებრივი საკითხების გადაწყვეტაში. საბჭოთა დემოკრატია თანამედროვე ეტაპზე მოითხოვს, რომ მმართველობის ზოგიერთი ფუნქცია, რომელსაც ამჟამად სახელმწიფო ორგანოები ასრულებენ (საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფა, სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების დაცვა), თანდათან გადავიდეს საზოგადოებრივი ორგანოების გამგებლობაში, რაც უეჭველად შეუწყობს ხელს სოციალისტური მართწესრიგის დარღვევებთან ბრძოლის წარმატებას.

ამასთან მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს პროფილაქტიკურ და აღმზრდელობით მუშაობას, გამაფრთხილებელ ღონისძიებებს, რომლებმაც შემდეგში საბოლოოდ უნდა აღკვეთონ ცალკეულ ადამიანთა დანაშაულობანი.

ამ დიდ საქმეში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებულ კანონებს სისხლის სამართლის კანონმდებლობის, სასამართლო წყობილებისა და სამართალწარმოების საფუძვლების შესახებ. რომლებიც ზუსტად განსაზღვრავენ ჩვენი სახელმწიფოს ძირითად ხაზს სოციალისტური მართლწესრიგისა და კანონიერების დამრღვევთა წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

საბჭოთა კანონიერების განმტკიცების ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ 1960 წლის 25 ივნისს მიღებული კანონი საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების შესახებ. ამ კანონში მოცემულია რესპუბლიკის სასამართლო ორგანოების წყობისა და საქმიანობის ძირითადი პრინციპები. ასევე დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტია ამ დღეებში გამოქეყნებული საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების არჩევნების შესახებ. არჩევნები ჩატარდება კვირას 1960 წლის 18 დეკემბერს.

სახალხო სასამართლოების არჩევნები დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური კამპანიაა. იგი ხელს უწყობს სასამართლოს წარმოების შემდგომ გაუმჯობესებას და საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს კანონების მტკიცედ შესრულებას.

საბჭოთა სასამართლო ნამდვილად სახალხო სასამართლოა, რადგან არჩეულია თვით ხალხის მიერ და სარგებლობს ხალხის ნდობით. სახალხო სასამართლო ზუსტად და განუხრელად იცავს სახელმწიფო კანონს. მთელი თავისი საქმიანობით ზრდის მოქალაქეებს სამშობლოსადმი ერთგულების სულისკვეთებით, იგი არა მარტო სჯის დამნაშავე პირებს, არამედ ფართოდ იყენებს გამაფრთხილებელ და აღმზრდელობით ღონისძიებებს.

მაღალი და სპპატიო მოვალეობა აკისრიათ სახალხო მოსამართლეებს. მათ მოქალაქენი ირჩევენ სპყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით, ხუთი წლის ვადით. სახალხო მსაჯულებს კი ირჩევენ მუშა-მოსამსახურეთა და კოლმეურნეთა. საერთო კრებებზე მათი სამუშაო ან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

სახალხო მოსამართლე და სახალხო მსაჯული, რომლებიც მოწოდებული არიან გადაწყვიტონ ადამიანის ბედი და სახელმწიფოს სახელით გამოაქვთ გადაწყვეტილება, უნდა იყონ კრისტალურად სპეტაკ, პრინციპული მუშაკები, უნდა ამართლებდნენ ხალხის ნდობას, მოსამართლე უნდა იყოს ხალხის თავდადებული მსახური, კანონების ზედმიწევნით მცოდნე, ზუსტად და განუხრელად შემსრულებელი, მაღალი სიფაქიზის ადამიანი, მაგალითის მომცემი პირად ცხოვრებასა და საზოგადოებრივ საქმიანობაში. მოსამართლეს უნდა ჰქონდეს სხვისი გასამართლებისა და აღზრდის არამარტო უფლებრივი, არამედ მორალური საფუძველიც.

სასამართლო წყობილების კანონში მითითებულია, რომ მოსამართლის განთავისუფლება თანამდებობიდან და სახალხო მსაჯულისა მისი მოვალეობისაგან დაშვება მხოლოდ და მხოლოდ ამომრჩეველთა გაწვევით, ანდა მათ შესახებ სასამართლოს მიერ გამოტანილი განჩინით.

საბჭოთა სასამართლო უნდა იყოს ყოველმხრივ ობიექტური, საქმე უნდა განიხილოს საფუძვლიანად. მისი ამოცანაა სწორად გადაწყვიტოს თვითეული სამოქალაქო დავა, არ დაუშვას უდანაშაულო ადამიანის დასჯა, გაასამართლოს ნამდვილი დამნაშავე, მისცეს სწორი კვალიფიკაცია მის მოქმედებას, მკაცრად, ინდივიდუალურად მიუდგეს დამნაშავე პირის მიმართ გამრსატან გადაწყვეტილებას, ღრმად შეისწავლოს ჩადენილი დანაშაულის ხასიათი, საფუძველი და ხარისხი, დამნაშავის პიროვნება, გარემო პირობები, დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებანი.

სახალხო მოსამართლეს მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ მიზანი მხოლოდ მაშინ არის მიღწეული, როცა სასჯელი სამართლიანი და ზომიერია. უნდა ახსოვდეს, რომ მოქალაქის საჩივრის განხილვის დროს სახალხო სასამართლოს თვითეულ შეცდომას შეუძლია დიდი ზიანი მიაყენოს საბჭოთა ხალხს, ჩვენი სახელმწიფოს ინტერესებს.

პარტიისა და მთავრობის განუხრელი ყურადღების შედეგია, რომ ჩვნს ქვეყანაში მნიშვნელოვნად ამაღლდა და განმტკიცდა საბჭოთა კანონიერება და მართლმსაჯულება.

რესპუბლიკის სასამართლო ორგანოებმა უკანასკნელ ხანებში რამდენადმე გაუმჯობესეს მუშაობა დამნაშავეობასთან ბრძოლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეთა განხილვის საქმეში. მიმდინარე წელს განიჩენებისა და გადაწყვეტილებების 97,2 პროცენტი სტაბილურია, ხოლო დადგენილი ვადის დარღვევით საქმეთა განხილვის შემთხვევები მცირდება. ყოველივე ამაში გარკვეული წვლილი მიუძღვით ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო სასამართლოებს, რომლებიც სწორად მუშაობენ, ნაკლებ შეცდომებს უშვებენ სახალხო მოსამართლე და სახალხო მსაჯული, რომლებიც მოწოდებული არიან გადაწყვიტონ ადამიანის ბედი და სახელმწიფოს სახელით გამოაქვთ გადაწყვეტილება, ვალდებულნი არიან ამართლებდნენ ხალხის ნდობას, მოსამართლე უნდა იყოს ხალხის თავდადებული მსახური, კანონების ზედმიწევნით მცოდნე, ზუსტად და განუხრელად შემსრულებელი, მაღალი სიფაქიზის ადამიანი, მაგალითის მომცემი პირად ცხოვრებასა და საზოგადოებრივ საქმიანობაში. მოსამართლეს უნდა ჰქონდეს სხვისი გასამართლებისა და აღზრდის არამარტო უფლებრივი, არამედ მორალური საფუძველიც.

სასამართლო წყობილების კანონში მითითებულია, რომ მოსამართლის განთავისუფლება თანამდებობიდან და სახალხო მსაჯულისა მისი მოვალეობისაგან დაშვება მხოლოდ და მხოლოდ ამომრჩეველთა გაწვევით, ანდა მათ შესახებ სასამართლოს მიერ გამოტანილი განჩენით.

საბჭოთა სასამართლო უნდა იყოს ყოველმხრივ ობიექტური, საქმე უნდა განიხილოს საფუძვლიანად. მისი ამოცანაა სწორად გადაწყვიტოს თვითეული სამოქალაქო დავა, არ დაუშვას უდანაშაულო ადამიანის დასჯა, გაასამართლოს ნამდვილი დამნაშავე, მისცეს სწორი კვალიფიკაცია მის მოქმედებას, მკაცრად, ინდივიდუალურად მიუდგეს დამნაშავე პირის მიმართ გამრსატან გადაწყვეტილებას, ღრმად შეისწავლოს ჩადენილი დანაშაულის ხასიათი, საფუძველი და ხარისხი, დამნაშავის პიროვნება, გარემო პირობები, დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებანი.

სახალხო მოსამართლეს მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ მიზანი მხოლოდ მაშინ არის მიღწეული, როცა სასჯელი სამართლიანი და ზომიერია. უნდა ახსოვდეს, რომ მოქალაქის საჩივრის განხილვის დროს სახალხო სასამართლოს თვითეულ შეცდომას შეუძლია დიდი ზიანი მიაყენოს საბჭოთა ხალხს, ჩვენი სახელმწიფოს ინტერესებს.

პარტიისა და მთავრობის განუხრელი ყურადღების შედეგია, რომ ჩვნს ქვეყანაში მნიშვნელოვნად ამაღლდა და განმტკიცდა საბჭოთა კანონიერება და მართლმსაჯულება.

რესპუბლიკის სასამართლო ორგანოებმა უკანასკნელ ხანებში რამდენადმე გაუმჯობესეს მუშაობა დამნაშავეობასთან ბრძოლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეთა განხილვის საქმეში. მიმდინარე წელს განიჩენებისა და გადაწყვეტილებების 97,2 პროცენტი სტაბილურია, ხოლო დადგენილი ვადის დარღვევით საქმეთა განხილვის შემთხვევები მცირდება. ყოველივე ამაში გარკვეული წვლილი მიუძღვით ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო სასამართლოებს, რომლებიც სწორად მუშაობენ, ნაკლებ შეცდომებს უშვებენ სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეების გარჩევისას.

კარგი ორგანიზაციული მუშაობით გამოირჩევიან გურჯაანის რაიონის სახალხო მოსამართლეები მ. ფურცელაძე და ი. კოკლამაზაშვილი, კარგი მაჩვენებლები აქვთ ქ. ქუთაისის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარეს გ. იობიძეს, სახალხო მოსამართლეებს ე. სანდუხაძეს და ე. კუბლაშვილს, ქ. მახარაძის სახალხო მოსამართლეს ნ. გობრონიძეს, ქ. სოხუმის სახალხო მოსამართლეს ა. ჭაჭიას, ქ. თბილისის კიროვის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარეს გ. იოსავას, ლენინის რაიონის სახალხო მოსამართლეს ბ. არავიაშვილს, ბათუმის სახალხო მოსამართლეს ჩხარტიშვილსა და სხვ.

მიუხედავად ამისა, სასამართლო ორგანოების მუშაობის პრაქტიკაში ჯერ კიდევ არის ნაკლოვანებანი. არის შემთხვევები, როდესაც ზემდგომი სასამართლო ორგანოები აუქმებენ და არღვევენ, როგორც უსწორო და კანონის დარღვევით გამოტანილს, საკასაციო წესით გასაჩივრებულ და გაპროტესტებულ განჩენებს. განჩენების გაუქმების შემთხვევებს ზოგჯერ ადგილი აქვს პროცესუალური ნორმების დარღვევის გამოც. არის ისეთი შემთხვევებიც, როცა სახალხო მოსამართლეებს გამოაქვთ არასწორი, ლიბერალური განჩენი. სწორედ ამის გამო იყო, რომ კასპის სახალხო მოსამართლე ა. გოგოლაძე, ადიგენის სახალხო მოსამართლე ჰ. გოგოლაძე, თბილისის ოქტომბრის რაიონის სახალხო მოსამართლე ჯანდიერი და კალინინის რაიონის სახალხო მოსამართლე ყველაშვილი ვადამდე იქნენ გამოწვეული სახალხო მოსამართლეობიდან.

არჩევნების მომზადების ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა განსახორციელებლად უკვე კარგა ხანია დაიწყო მუშაობა. მიმდინარე წლის ცხრა თვეში სახალხო მოსამართლეებმა ამომრჩეველთა წინაშე გააკეთეს 1.216 საანგარიშო მოხსენება, ამხანაგური სასამართლოს თავმჯდომარეებთან და ამხანაგური სასამართლოს წევრებთან — 1.167, სახალხო რაზმეულების წევრებთან — 400. სახალხო სასამართლოების არჩევნების დემოკრატიულ პრინციპებზე, საბჭოთა რევოლუციური კანონიერების და სხვა საკითხებზე მოსახლეობისათვის მოეწყო 1.068 ლექცია, მოხსენება და საუბარი.

საბჭოთა სასამართლო აგებულია დემოკრატიულ პრინციპებზე; მოსამართლეთა ანგარიშგება ხალხის წინაშე საბჭოთა სასამართლო სისტემის უმნიშვნელოვანესი პრინციპია, რომელიც უარყოფს მოსამართლეთა გამოუცვლელობის ბურჟუაზიულ პრინციპს. საბჭოთა სასამართლო ძირფესვიანად განსხვავდება ექსპლოატატორთა ინტერესების დამცველი ბურჟუაზიული სასამართლოსაგან.

18 დეკემბერს საბჭოთა ადამიანები მიიღებენ მონაწილეობას სახალხო სასამართლოს არჩევნებში, ერთსულოვნად მისცემენ ხმას კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს, საბჭოთა კანონიერების სადარაჯოზე აირჩევენ ჩვენი სამშობლოს ერთგულ ადამიანებს, რითაც კიდევ უფრო განამტკიცებენ ჩვენი სამშობლოს ძლიერებას.

მ. ვეფხვაძე,
საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე.

სიტყვის ფასი

ლოფელი ხეოთი ერთ-ერთი მაღალმთიანი სოფელია ახალციხის რაიონში. იგი მშვენიერი ტყეებით დაფარულ ფერდობებზეა შეფენილი. ნოყიერი სათიბ-საძოვრები, საუკეთესო სახნავ-სათესი მიწები ყველა პირობას ქმნიან მემინდვრეობისა და მეცხოველეობის განვითარებისათვის. სწორედ ეს პირობები გვიკეთებდა გულს მთიულეთიდან ჩამოსახლებულ ადამიანებს, როცა 1944 წელს მესხეთის მიწაზე პირველად დავდგით ფეხი.

ნასოფლარზე აღდგა ახალი სოფელი. მიწურებიდან საუკეთესო საცხოვრებელ სახლებში გადავინაცვლეთ. სოფელში მძლავრად იგრძნობა შვიდწლედის მაჯისცემა. წელს საშუალოდ ჰექტარზე 18 ცენტნერი ხორბალი მივიღეთ. ხეოთელი მეკარტოფილეები პირველნი არიან რაიონში. წელს ეს კულტურა 25 ჰექტარზე გვეთესა და საშუალოდ ჰექტარზე 212 ცენტნერი კარტოფილი მოვიყვანეთ, ხოლო იმ ბრიგადამ, რომელსაც ახალგაზრდა კომუნისტი თედო ჩოხელი ხელმძღვანელობს, ჰექტარზე 245 ცენტნერი მოსავალი მოიყვანა.

აღმავლობის გზით მიდის მეცხოველეობა. წელს თვითეულ ძროხაზე მოვწველეთ 300 კილოგრამით მეტი რძე, ვიდრე შარშან. გადაჭარბებით შეავსრულეთ სახელმწიფოსათვის კარტოფილის, მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვისა და პირუტყვის სულადობის ზრდის წლიური ვალდებულებანი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომავალი პლენუმის ღირსეულად შეხვედრისათვის კოლმეურნეებმა ერთსულოვნად გადაწყვიტეს სახელმწიფოს ვალდებულების გადამეტებით მიჰყიდონ 20 ტონა კარტოფილი, 5 ტონა ხორცი და 6 ტონა რძე.

ე. წიკლაური,
ახალციხის რაიონის სოფელ ხეოთის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

ტექნიკური სიახლის უნივერსიტეტი

ამ ორმოცი წლის მანძილზე სრულიად იცვალა სახე, გალამაზდა და გამშვენდა თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონი. ახლა იგი ქალაქის ერთ-ერთი წამყვანი სამრეწველო უბანია. აქ დამზადებული პროდუქცია საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა რესპუბლიკაში იგზავნება. რაიონის მრეწველობის მუშაკებმა მრავალი ტექნიკური სიახლე აითვისეს და წარმოებაში დანერგეს, შექმნეს ახალი ჩარხები და მოწყობილობანი.

ამჟამად, როცა შექმნილია ყველა პირობა ტექნიკისა და კულტურის შემდგომი პროგრესისათვის, დიდი მნიშვნელობა აქვს ინჟინერ-ტექნიკოსთა და მრეწველობის მოწინავეთა ცოდნის დონის ამაღლებას, ყოველივე სიახლის, პროგრესულის ათვისებას და წარმოებაში დანერგვას. სწორედ ამიტომ გადაწყვიტეს აქ შექმნათ ტექნიკური სიახლის უნივერსიტეტი.

უნივერსიტეტის შექმნის წინ საზეიმოდ მორთულ კლუბის ფოიეში მოეწყო სამრეწველო საწარმოთა ტექნიკური სიახლის გამოფენა, აკვირდები გამოფენის ექსპონატებს და არ შეიძლება განცვიფრებაში არ მოგიყვანოს მძიმე და მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა წარმატებებმა.

საღამოს 6 საათია, ნავთლუღის რაიონგზის კვანძის კლუბი საზეიმოდ მოფრთავთ. აქ ნახავთ ტექნიკური სიახლის უნივერსიტეტის მსმენელებს, წარმოების ნოვატორებს, ინჟინერ-ტექნიკოსებს, პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების წარმომადგენლებს. ტექნიკური სიახლის უნივერსიტეტის შექმნისათვის საზეიმო სხდომას ხსნის საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის 26 კომისრის რაიკომის პირველი მდივანი ა. ბუდუმიანი. უნივერსიტეტის ამოცანების შესახებ მოხსენებით გამოვა და უნივერსიტეტის რექტორი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი თ. ლოლაძე.

მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს № 1 სატრიკოტაჟო ფაბრიკის კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელმა ვ. სიროვატკინამ, დამოუკიდებელი საკონსტრუქტორო ბიუროს სამეცნიერო ნაწილის გამგემ ს. შახბუდაღიანმა, ქ. რუსთავის კულტურის უნივერსიტეტის რექტორმა სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ა. ხორავამ, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს საკონსტრუქტორო ბიუროს უფროსმა ო. ანანიაშვილმა, პოეტმა კ. კალაძემ და სხვ.

ტექნიკური სიახლის უნივერსიტეტში **უკვე ჩარიცხულია 180 მსმენელი.**

საერთაშორისო
ლეკვები, ცნობები, მიმოხილვა
ცხოვრება

ჩინელები აყვავებენ ჩინეთს

აფრიკა გრალს დებს გაერთიანებულ ერებს

ლაოსი კატასტროფის წინაშეა

გონში ჩაფუშეს სავაჭრო შეთანხმება

მორის ტორეზი აკრიტიკებს დე გოლის მთავრობას

საბჭოთა კავშირის საელჩოს ცნობა

გონის მთავრობის მანევრი

ბონი, 13 დეკემბერი. (საკდესი). იმასთან დაკავშირებით, რომ დასავლეთ გერმანიის მხარემ უარი თქვა ხელი მოაწეროს შეთანხმებულ სავაჭრო შეთანხმებას გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და საბჭოთა კავშირს შორის, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში სსრ კავშირის საელჩოს პრესის ატაშეს ალექსეევს გამოაქვეყნა შემდეგი ცნობა პრესისთვის:

1960 წლის 18 ოქტომბრიდან 12 დეკემბრამდე ბონში გაიმართა სავაჭრო მოლაპარაკება სსრ კავშირის დელეგაციასა, რომელსაც მეთაურობდა საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილე ს. ა. ბორისოვი, და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის დელეგაციას შორის, რომელსაც მეთაურობდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სახელმწიფო სტატს-მდივანი ვან შერპენბერგი. მოლაპარაკების მსვლელობაში მიღწეული იყო სრული თანხმობა ვაჭრობის განხილულ საკითხზე და მომზადდა სავაჭრო შეთანხმების ტექსტი და ყველა დანარჩენი დოკუმენტი ხელმოსაწერად. სავაჭრო შეთანხმების ტექსტი ინიციალებულად არ განსხვავდებოდა 1958 წლის მოქმედი სავაჭრო შეთანხმებისაგან, გარდა საქონელბრუნვის მოცულობის ერგვარი გადიდებისა. დასავლეთ გერმანიის მხარემ განაცხადა, რომ თანახმაა ხელი მოაწეროს იმ შეთანხმებას. საბჭოთა დელეგაციამ აღნიშნა, რომ საავაჭრო შეთანხმების მოქმედება ვრცელდება მხოლოდ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ტერიტორიაზე, ხოლო დასავლეთ ბერლინი, როგორც ცნობილია, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ტერიტორია არ არის.

მას შემდეგ, რაც დასავლეთ გერმანიის მხარემ უარი თქვა ხელი მოეწერა შეთანხმებული სავაჭრო შეთანხმებისათვის, სტატს-მდივან ვან შერპენბერგთან საუბრის დროს საბჭოთა დელეგაციამ განაცხადა, რომ იგი დასავლეთ გერმანიის მხარისაგან მოელის ცნობას, რომ მზად არის ხელი მოაწეროს ორივე მხარეს შორის შეთანხმებულ სავაჭრო შეთანხმებას,

დრომდე ერთი საათით ადრე დასავლეთ გერმანიის მხარემ მოულოდნელად განაცხადა, რომ მზად არ არის ხელი მოაწეროს სავაჭრო შეთანხმებას და სცადა თავს მოეხვია საბჭოთა მხარისათვის შენიშვნა დასავლეთ ბერლინზე სავაჭრო შეთანხმების მოქმედების გავრცელების შესახებ.

საბჭოთა მხარემ უარყო ეს ცდა თავს მოეხვიათ მისთვის უკანასკნელ მომენტში დაუსაბუთებელი მოთხოვნა. როგორც მოლაპარაკების დასაწყისში, საბჭოთა მხარემ აღნიშნა, რომ საავაჭრო შეთანხმების მოქმედება ვრცელდება მხოლოდ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ტერიტორიაზე, ხოლო დასავლეთ ბერლინი, როგორც ცნობილია, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ტერიტორია არ არის.

„ნ. ს. ხრუშჩოვი ნიუ-იორკში“

ნიუ-იორკი, 13 დეკემბერი. (საკდესი). ნიუ-იორკის საგამომცემლო ფირმამ „კროს-კარენტს პრესმა“ გამოსცა წიგნი „ხრუშჩოვი ნიუ-იორკში“ — დოკუმენტური მოთხრობა ნიუ-იორკში ნ. ს. ხრუშჩოვის ისტორიული ყოფნის შესახებ 1960 წლის 19 სექტემბრიდან 13 ოქტომბრამდე.

წიგნის გამოსვლასთან დაკავშირებით გამომცემლობა აცხადებს: „ეს არის მოთხრობა ისტორიული 25 დღის შესახებ, რომელიც ხრუშჩოვმა გაატარა ნიუ-იორკში, მისი გამოსვლების შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, პრეს-კონფერენციებზე და ინტერვიუ. ამ ტომში მკითხველს შეუძლია გაეცნოს ყველა დიდმნიშვნელოვან განცხადებას, რომლებიც ხრუშჩოვმა გააკეთა მისი მოგზაურობის დროს... „ხრუშჩოვი ნიუ-იორკში“ საჭირო წიგნია ყოველი ადამიანისათვის, ვისაც სურს ყოველმხრივ გაეცნოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ისტორიულ ამბებს, რომლებსაც უშუალო დამოკიდებულება აქვს ჩვენს მომავალთან და მთელი კაცობრიობის ბედთან“.

ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვებისა და იმ განცხადებების გარდა, რომლებიც გაკეთა ნიუ-იორკში ყოფნის დროს, წიგნში დაბეჭდილია ტექსტი მისი გამოსვლისა მოსკოვში, როცა ნიუ-იორკიდან დაბრუნდა.

მზადდება ლუმუმბას მკვლელობა

აკრა, 13 დეკემბერი. (საკდესი). კონგოელი ხალხის მოღალატეების მობუტუ-კასავუბუს ხროვამ მიიღო გადაწყვეტილება ფიზიკურად მოსპოს კონგოს პრემიერ-მინისტრი პატრის ლუმუმბა, რისთვისაც მოაწყოს თვითმკვლელობის ინსცენირება ან ავტომობილის კატასტროფა, როცა მას გადაიყვანენ სხვა სამხედრო ბანაკში, იუწყება ლეოპოლდვილიდან „განა ტაიმსის“ სპეციალური კორესპონდენტი. არსებობს აგრეთვე გეგმა ლუმუმბას მოკვლისა გითომდა გაქცევის ცდის დროს.

კორესპონდენტი განმარტავს, რომ ეს დანაშაულებრივი შეთქმულება შეიმუშავეს იმასთან დაკავშირებით, რომ მობუტუ-კასავუბუს ხროვას ვერ გამოუნახავს რაიმე კანონიერი საფუძველი, რათა სასამართლოს საშუალებით გაუსწოროს ანგარიში კონგოს პრემიერ-მინისტრს. გარდა ამისა, მათ ეშინიათ, რომ ასეთი სასამართლო არა მარტო მიიპყრობს მსოფლიო საზოგადოებრიობის ფართო ყურადღებას, არამედ აგრეთვე შესაძლებლობას მისცემს ლუმუმბას გამოიყენოს სასამართლოს ტრიბუნა კონგოში არსებული ახლანდელი კრიზისის ნამდვილ დანაშაულთა მხილებისათვის. როგორც ფიქრობენ, წერს „განა ტაიმსის“ კორესპონდენტი, სულ ცოტა ორი უცხო სახელმწიფოს წარმომადგენლებმა იციან ლუმუმბას წინააღმდეგ დანაშაულებრივი შეთქმულება. მათ „საიდუმლო პირობა დადეს მხარი დაუჭირონ ყოველ გამოგონებულ ისტორიას თვითმკვლელობის შესახებ, რომელიც შეიძლება შეთითხნონ მსოფლიო საზოგადოებრივი აზრისათვის“.

სურათზე: 5-ათასიანი მიტინგი კაიროს უნივერსიტეტის საქმეთა დარბაზში. მიტინგის მონაწილეებმა მხარი დაუჭირეს აფრიკისა და აზიის ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას, მოითხოვეს პატრის ლუმუმბას დაუყოვნებლივ განთავისუფლება.

საკდესის ფოტოქრონიკა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კაპიტანი კონგ ლე მოუწოდებს

ჯაოი, 13 დეკემბერი. (საკდესი). როგორც ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო იუწყება, კაპიტანმა კონგ ლემ მიმართა ლაოსის როგორც მთავრობის, ისე მეამბოხეთა მხარეზე მყოფ შეიარაღებულ ძალებსა და ლაოსელ ხალხს ყველა ფენას და მოუწოდა გაერთიანდნენ და მტკიცე წინააღმდეგობა გაუწიონ მეამბოხეებსა და მათ ბატონებს — იმპერიალისტებს.

ვიენტიანის რადიოთი დღეს გადმოცემულ განცხადებაში კაპიტანმა კონგ ლემ, რომელსაც ვიენტიანის დაცვა აქვს დავალებული, განაცხადა, რომ ფუმი ნოსავანის მეამბოხეები ემზადებიან, რათა თავს დაესხან ლაოსის დედაქალაქს. ამ მეამბოხეთა ჯარების შემადგენლობაში არიან ამერიკელები, ტაილანდელები, სამხრეთ-ვიეტნამელები და გომინდანელები.

მეამბოხეთა ხროვის მიზანია, განაგრძო კონგ ლემ, დაიკავონ ჩვენი საყვარელი დედაქალაქი, ჩამოაგდონ კანონიერი მთავრობა და შექმნან რეაქციული დიქტატორული მთავრობა, ძირი გამოუთხარონ მშვიდობის, ნეიტრალიტეტის, ეროვნული თანხმობის პოლიტიკას, გააფართოონ სამოქალაქო ომი და გადაიქცეონ ლაოსი უცხო სახელმწიფოთა კოლონიად.

დასასრულ კონგ ლემ განაცხადა:

— ჩვენ ვითვალისწინებთ, რომ ჩვენი ბრძოლა, უეჭველია, წაწყდება ბევრ სიძნელეს. მაგრამ მტკიცედ ვართ დარწმუნებული, რომ მთავრობის არმიის, პატეტ-ლაოს ძალების, სახალხო შეიარაღებული ძალებისა და პოლიციის მჭიდრო თანამოქმედება მოგვიტანს გამარჯვებას.

ჩვენი ხალხის გარდა, ჩვენ მხარს გვიჭერენ მსოფლიოს ყველა ქვეყნის ხალხები, რომლებიც, თუ კი საჭირო იქნება, მოგვშველებიან. თუ საჭირო იქნება, ჩვენ ვთხოვთ ამ ქვეყნებს დაგვიმარონ თავიანთი ჯარები. მამ გვჯეროდეს საბოლოო გამარჯვება, მტკიცედ განვაგრძოთ ბრძოლა.

მაროკო და გვინეა

თანაუგრძნობენ კონგოს

რაბათი, 13 დეკემბერი. (საკდესი). მაროკოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა ბენჯელუნმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს ჰამაშელდს გაუგზავნა დეპეშა, რომელშიც აღტაცებიებს, რომ, რამდენადაც კონგოში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარების სარდლობის მიერ დაკავებული პოზიცია არ შეესაბამება „კონგოს დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნების და კანონიერი მთავრობისათვის დახმარების გაწევას“. მაროკოს მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება გამოიყენოს თავისი ჯარები კონგოდან.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარები, ნათქვამია დეპეშაში, მხოლოდ პასიური მოწმეები არიან დრამისა, რომელიც გათამაშდა ხალხის მიერ არჩეული კონგოს მთავრობის მეთაურის ლუმუმბას უკანონო დაპატიმრების შედეგად.

კონაკრი, 13 დეკემბერი. (საკდესი). გუშინ კონაკრიში გაიმართა გვინეის რესპუბლიკის მთავრობის გაფართოებული სხდომა ეროვნული კრების დეპუტატთა და დემოკრატიული პარტიის პოლიტბიუროს წევრთა მონაწილეობით. სხდომამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ დაუყოვნებლივ გამოიწვიონ კონგოდან გვინეის ჯარები, რომლებიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში შედიან. დეპეშაში, რომელიც სხდომის შემდეგ გაგზავნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივან ჰამაშელდს, გვინეის მთავრობის ეს გადაწყვეტილება დასაბუთებულია იმით, რომ „გაერთიანებული ერები იყენებენ ლუმუმბას დაპატიმრების თანამონაწილენი“, აგრეთვე იმით, რომ „კონგოს კანონიერი ინსტიტუტები მოკლებული არიან ფუნქციონირების შესაძლებლობას“.

იმ ქვეყნებისათვის გაგზავნილ მეორე დეპეშაში, რომლებმაც აგრეთვე გადაწყვეტეს გაიყვანონ თავიანთი ჯარები კონგოდან, გვინეის რესპუბლიკის მთავრობა ხელმოწერილია ამ გადაწყვეტილებას და მიაჩნია იგი ღონისძიებად, რომლის მიზანია კონგოელი ხალხის დამოუკიდებლობის განხორციელება და „კონგოს საკითხში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეაქციული საქმიანობის“ მხილება. გვინეის მთავრობა აცნობებს ამ ქვეყნებს, რომ გაიყვანს თავისი ჯარები კონგოდან.

ბრძოლები ლაოსში

ჯაოი, 13 დეკემბერი. (საკდესი). ლაოსიდან მიღებული ცნობების თანახმად, დღეს შუადღისას ფუმი ნოსავანის მეამბოხეებმა დაიწყეს შეტევა ლაოსის დედაქალაქის ვიენტიანის წინააღმდეგ. ვიენტიანზე შეტევა წარმოებს ორი მხრიდან. ჰაკ-სანგის მხრიდან მოდის ამერიკის მძიმე არტილერიით შეიარაღებულ მეამბოხეთა კოლონა, რომელსაც სამხრეთ ვიეტნამის არტილერისტები ემსახურებიან. ბრძოლები ამ მიმართულებით წარმოებს 22 კილომეტრზე ვიენტიანიდან.

ამავე დროს ტაილანდის მხრიდან მდინარე მეკონგი გადალახა მეამბოხეთა ჯარების მეორე ჯგუფმა და დაიწყო ბრძოლები თვით ქალაქში. მეფის ჯარები კაპიტან კონგ ლეს საფლობით პატეტ-ლაოს რაზმებთან ერთად და მოსახლეობის მხარდაჭერით მედგარ წინააღმდეგობას უწევენ „მოწინააღმდეგის ჭარბი ძალების შემოტევას. ქალაქის დაცვაზეა არტილერია, რომელიც აერო-დრომზე დგას, მასირებულ ცეცხლს უშენს მეამბოხეებს.

რობერტ მაკნამარა—ამერიკის თავდაცვის მინისტრი

ნიუ-იორკი, 13 დეკემბერი. (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო ვაშინგტონიდან იუწყება, არჩეულმა პრეზიდენტმა კენედიმ თავდაცვის მინისტრად დანიშნა „ფორდ მოტორ კომპანის“ კომპანიის პრეზიდენტი რობერტ მაკნამარა.

მაკნამარა ახლა 44 წლისაა, იგი სანფრანცისკოშია დაბადებული, დამთავრებული აქვს პარვარდის უნივერსიტეტი. ერთ დროს იგი ამ უნივერსიტეტის საქმიან საწარმოთა ადმინისტრატორების მომზადების კათედრის პროფესორი იყო. „ფორდ მოტორ კომპანის“ პრეზიდენტად მაკნამარა სულ კვირის წინათ აირჩიეს. მანამდე მთელი რიგი სხვა ხელმძღვანელი პოსტები ეკავა „ფორდ მოტორის“ კომპანიაში, კერძოდ, კომპანიის მმართველი და ვიცე-პრეზიდენტი იყო.

ჭრაგედია კონგოში

ნიუ-იორკი, 12 დეკემბერი. საკდესის კორესპონდენტი **ვ. ოზეროვი** იტყობინებს: 12 დეკემბერს უშიშროების საბჭომ, რომელიც მოწვეულია საბჭოთა კავშირის მოთხოვნით, განაახლა კონგოს უკანასკნელი ამბების გამო სსსრ-ფიო ღონისძიებათა მიღების საკითხის განხილვა. სხდომაზე პირველი გამოვიდა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენელი ლეკანდოვსკი. მან გამოთქვა პოლონელი ხალხის შეშფოთება კონგოს ამბების ტრაგიკული განვითარების გამო და აღნიშნა ის სასარგებლო წვლილი, რომელიც აფრიკისა და აზიის ქვეყნების წარმომადგენლებმა შეიტანეს უშიშროების საბჭოში წარმოებულ დისკუსიაში.

განიარაღებულ -უნდა იქნან მობუტუს ბანდები. შეეწყნარებელია, თქვა პოლონეთის დელეგატმა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ათასობით ჯარისკაცი, რომლებიც გაგზავნილი არიან კონგოში კანონიერი მთავრობის თხოვნით, უმოქმედოდაა, მაშინ როცა ამ მთავრობის წევრები საპატიმროებში იმყოფებიან ორ როგორც დამნაშავენი როგორც წანამძღვარი წესრიგისა და კანონიერების აღდგენისათვის! დაუყოვნებლივ უნდა გაათავისუფლონ ლუმუმბა და მთავრობის სხვა წევრები.

შემდეგ სიტყვა აიღო საფრანგეთის წარმომადგენელმა ბერარმა. მან მარტოოდენ სინანული გამოთქვა „ექსცესების“ გამო, რომელსაც მობუტუს ბანდები ჩადიან კონგოს მოსახლეობისა და პოლიტიკურ მოღვაწეთა მიმართ. საფრანგეთის წარმომადგენელმა გაიხარა იმის წინაღმდეგ, რომ გაათავისუფლონ კონგოს მთავრობის წევრები პრემიერ-მინისტრ ლუმუმბას მეთაურობით და მოიწვიონ კონგოს პარლამენტი, მან ყოველივე ეს დასაბუთა როგორც „ჩარევა“ სუვერენული სახელმწიფოს საშინაო საქმეებში. საფრანგეთის დელეგატმა მხარი დაუჭირა არგენტინის, იტალიის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის რეზოლუციის პროექტს, რომელიც არაფერს -ითვალისწინებს კონგოს მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

ნიუ-იორკი, 13 დეკემბერი. (საკდესი). უშიშროების საბჭოს გუშინდელ დილის სხდომაზე შეეწყნარებელი იყო ალბანეთის დელეგატმა მონი სლომმა.

მან ხაზი გაუსვა, რომ მღელვარება კონგოში სულ უფრო ძლიერდება, რომ უშიშროების საბჭოს სხდომას მოწვევა, რათა განახორციელონ გადაუდებელი ღონისძიებანი, სავსებით გამართლებული. პრემიერ-მინისტრ ლუმუმბას და

უშიშროების საბჭოს სხდომა

მის თანაშემწეთა დაპატიმრება, არა ადამიანური მოპყრობა მისადმი საფრთხეს უქმნის მშვიდობასა და უშიშროებას არა მარტო ამ რაიონში, არამედ მთელ აფრიკის კონტინენტზე. ტუნისის დელეგატმა მხარი დაუჭირა მთელი რიგი დელეგაციების ღონისძიებებს მდგომარეობის ნორმალიზაციისათვის კონგოს რესპუბლიკაში. მან აღნიშნა, რომ საჭიროა გაათავისუფლონ ლუმუმბა და მისი პოლიტიკური მომხრეები, მოიწვიონ პარლამენტი, აგრეთვე გაიყვანონ კონგოდან ბელგიელი პირსონალი.

ნიუ-იორკი, 13 დეკემბერი. (საკდესი). გუშინ დღ-სით უშიშროების საბჭოში გრძელდებოდა მწველავი დისკუსია კონგოს ამბებთან დაკავშირებით სასწრაფო ღონისძიებათა განხორციელების საკითხზე.

პირველი ორატორი იყო გვინეის დელეგაციის მეთაური ისმაილ ტურე. ის ამბები, რომლებიც ამჟამად კონგოში ხდება, განაცხადა მან, ფრიად სერიოზულია და უდიდესი მნიშვნელობა აქვთ არა მარტო კონგოს რესპუბლიკის, არამედ აგრეთვე მთელი აფრიკის მომავლისათვის. კონგოს პრობლემის გადაჭრაზე დამოკიდებულია აფრიკის დამოუკიდებლობა და ერთიანობა.

ტურემ გააკრიტიკა არასაბარბიელო როლი, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ შეასრულა კონგოში და აღნიშნა, რომ ეს საერთაშორისო ორგანიზაცია პრაქტიკულად ბელგიას შეუერთდა და ახლა საბჭოლდაონ სკამზეა. ჩვენ მიგვაჩნია და ღრმად გვწამს, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ჩაითრიეს „სირაკუზას პოლიტიკაში“, უარი თქვეს რა თვალი გაეყოლებინათ სინამდვილისათვის. ახლა საქმე იხება დამარცხებას პირველ ეტაპზე, მაგრამ იგი შეიძლება გამოსწორდეს, თუ ამ დამარცხებას „აღიარებენ. დამარცხება მკვეთრი კონტრასტია იმ დავალებას, რომელიც უშიშროების საბჭომ და გენერალურმა ასამბლეამ გენერალურ მდივანს მისცეს, და ამას შორის, რაც ფაქტიურად მოხდა კონგოში.

გვინეის დელეგატმა სასაცილოდ აიღო უშიშროების საბჭოში დასავლეთის სახელმწიფოების წარმომადგენელთა დეკლარაციული განცხადებანი ადამიანის უფლებათა დაცვის შესახებ და ხაზი გაუსვა, რომ აფრიკა იცნობს კოლონიზატორთა „ჰუმანურ“ პოლიტიკას. ალჟირი და კონგო მისი სისხლიანი მაგალითებია. საქმე ეხება იმას, რომ ხალხს ჰქონდეს ქვეყნის ტერიტორიის ხელშეუხებლობისა და მთლიანობის უფლება.

ისმაილ ტურემ ალაპარაკა გენერალური მდივნის „ნეიტრალიტეტის“. პოზიციაზე კონგოს საქმეებში და აღნიშნა, რომ ეს არის მხოლოდ და მხოლოდ „თანამშრომლობა მაგიდის ქვეშ“ იმ ხელისუფლებასთან, რომელიც არავისი წარმომადგენელი არ არის. ჩვენ ვგმობთ ასეთ მდგომარეობას, ჭრისხანედ განაცხადა გვინეის დელეგატმა.

საჭიროა საფუძვლიანად გადაისინჯოს გაერთიანებული ერების პოლიტიკა კონგოში, თქვა მან. დასასრულ გვინეის დელეგაციის მეთაურმა წაიკითხა დეპეშა, მიღებული რესპუბლიკის პრეზიდენტისაგან. დეპეშაში დაგმობილია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის თანამონაწილეობა კონგოს უხერეტორებთან და ნათქვამია, რომ გვინეამ გადაწყვიტა გაიყვანოს თავისი ჯარები კონგოდან. ამასთან დაკავშირებით რესპუბლიკის პრეზიდენტი მოითხოვს უზრუნველყონ მათი დაუყოვნებლივი ევაკუაცია.

მობუტუ-კასავუბუს რეჟიმის წარმომადგენელმა ისარგებლა პასუხის უფლებით და მოურიდებლად სცადა ქვეყანა-ბინა აზიისა და აფრიკის ქვეყნების დელეგატებისათვის, რომლებიც საბჭოში გამოვიდნენ, „მიკერძოება“ კონგოს ამბების შეფასებისაა.

შემდეგ სიტყვა მიეცა იუგოსლავიის წარმომადგენელს კ. პოპოვიჩს. მდგომარეობა კონგოში, განაცხადა მან, მნიშვნელოვნად უარესდება; უცხოელთა ინტერვენცია და ჩარევა კიდევ უფრო აძლიერებს კრიზისს. ამ ქვეყნებში მომხდარმა ამბებმა შებღალეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ავტორიტეტი და ამ ორგანიზაციას მძიმე პასუხისმგებლობა ეკისრება. იუგოსლავიის დელეგატმა გააკრიტიკა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პოზიცია კონგოს მიმართ.

პოპოვიჩმა განაცხადა, რომ იგი XV სესიაზე ჩამოვიდა და თან ჩამოიტანა იუგოსლავიის მთავრობის ინსტრუქცია — მოითხოვოს, რომ დაუყოვნებლივ მოიწვიონ გენერალური ასამბლეა კონგოს საკითხზე, მიუხედავად იმისა, თუ რა ღონისძიებებს განახორციელებს უშიშროების საბჭო.

გვინეის დელეგატისა და გენერალური მდივნის მეკელე შენიშვნების შემდეგ უშიშროების საბჭოს სხდომა დაიხურა.

ისინი შრომამ დაავაჟკაცა

ჩინეთის უკიდეგანო სივრცეებში გრანდიოზული მშენებლობაა გაჩაღებული. ხარჩოების ტყეებს დაინახავთ ყველგან — მსხვილ სამრეწველო ცენტრებსა და უკანასკნელ დრომდე მიყრუებულ რაიონებში.

მშენებლობა ცხოვრების დიდ სკოლად გადაიქცა სახალხო ჩინეთის ბევრი შესანიშნავი ადამიანისათვის, რომელთა სახელთან დაკავშირებულია დიდმნიშვნელოვანი ეტაპები ჩინეთის ინდუსტრიალიზაციისა.

იგი დროს უსწრეგს

ბაოტოული წარმოების მოწინავის სუნ ში-ცუნის ბიოგრაფია ცოტად თუ განსხვავდება ბევრი მისი თანატოლის ბიოგრაფიისაგან. დაიბადა ღარიბის ოჯახში. თავის ბავშვობაზე ძუნწად გვიამბობს. მოწეული მოსავალი ერთ თვესაც არ მყოფნიდათ. ვალში მემამულემ მთელი ქონება წაიღო. დედასთან ერთად მშობლიური მაზრის ბევრი სოფელი მოარა თავშესაფრის ძებნისა და ერთი თეფში ბრინჯისათვის. ძნელია იმის წარმოდგენა, თუ რა მოუვიდოდა მას, სამშობლო რომ არ განთავისუფლებულიყო.

პირველი დღეებიდანვე ახალი ცხოვრება ძლევამოსილად შეიჭრა სოფელში. განა შეუძლია დაივიწყოს კრება, როცა გლეხებს გადასცეს დოკუმენტები მიწის მფლობელობაზე?.. სუნ ში-ცუნი სკოლაში წავიდა. შემდეგ სხვა ჭაბუკებთან ერთად სახალხო მილიციის რაზმში შევიდა. 1952 წლიდან იგი ანშანის კომბინატის მუშაა. ეს წელიწადი ჩინეთის ისტორიაში შევიდა როგორც პირველი ხუთწლედის დაწყების ხანა. ხუთწლედის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი მშენებლობა იყო ანშანის კომბინატი. სადაც მოკლე ხანში 37-ზე მეტი დიდი ობიექტი -შენდა.



ჩინეთის ძირითადი მეტალურგიული ბაზის — ანშანის საწარმოთა შექმნაში მციერეოდენი შრომითი წვლილი სუნ ში-ცუნსაც მიუძღვის, რომელიც აქ მშენებლის სპეციალობას დაეუფლა...

შემდეგ — სამსახური სახალხო-განმათავისუფლებელ არმიაში. სამი წლის შემდეგ სუნ ში-ცუნი არმიიდან დაბრუნდა და კვლავ ანშანშია.

ანშანის კომბინატის რეკონსტრუქციასთან ერთად ჩინეთი შეუდგა ახალი მეტალურგიული ქარხნების მშენებლობას. ახალი მეტალურგიული ბაზები იქმნებოდა უბანსა და ბაოტოუში. ჯერ კიდევ არმიაში ყოფნისას სუნ ში-ცუნი დიდხანს კითხულობდა გაზეთის ძუნწ სტრიქონებს, ოცნებით წარმოიდგენდა ხოლმე შიგა მონღოლეთის უკიდეგანო ველებს. მას ეზიდავდა ცხოველი სურვილი — ყოფილიყო იქ, სადაც ამბადება ახალი ქალაქი, ახალი კომბინატი. პარტიის რაიკომის საგზურით სუნ ში-ცუნი ანშანიდან ბაოტოუს გაემგზავრა.

ეზრდებოდა მშენებლობის ტემპი. საჭირო იყო შეესრულებინა სხვადასხვა სამუშაო — გადმოეტვირთა შემადგენლობა, რომელმაც მოწყობილობა და სამშენებლო მასალები მოიტანა. ხელში აიღო ნიჩაბი და მოედნები გაეწმინდა. სუნ ში-ცუნს გამოადგა არმიაში შეძენილი შოფრის სპეციალობა. მისმა სატვირთო მანქანამ ათასობით კილომეტრი გაიარა შიგა მონღოლეთის გზებზე.

...იმ დღეს მშენებლობაზე საბჭოთა კავშირიდან კოშკური ამწეები მიიღეს. მშენებლობის სამმართველოში დიდხანს მარჩიელობდნენ, თუ ვისთვის მიენდოთ ამწე. ყველა მუშა დაკავებული იყო. სპეციალისტები არ ყოფნიდათ, ამწე კი საჭირო იყო სწორედ ახლა, ბაოტოუს პირველი ბრძმედის მოწყობილობის მონტაჟის დროს.

— მე მომანდეთ, — განაცხადა სუნ ში-ცუნმა, — ტექნიკას ვიცნობ, მალე დავეუფლები მეამწის სპეციალობას.

ასე ჩაიბარა ამწე კომუნისტმა სუნ ში-ცუნმა.

თავისი ამწით სუნ ში-ცუნმა მონაწილეობა მიიღო ბაოტოუს ბევრი ობიექტის სამონტაჟო სამუშაოებში.

— ჩვენი მუშები, — ამბობს იგი, — მადლობას უცხადებენ საბჭოთა კავშირს ესოდენ შესანიშნავი ტექნიკისათვის, რომლითაც ჩვენ დიდი გადაჭარბებით ვანაღდებთ ყველა ნორმას, რაც ჩვენში წინათ არსებობდა.

მეორე ხუთწლედის დავალება მან წელიწადნახევარში შეასრულა.

იმ ადამიანთა შრომით, რომლებიც დროს უსწრებენ, ბაოტოუში ვადამდე აღიმართა პირველი ბრძმედი. თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ბრძმედს სახალხო ჩინეთისათვის, ამას მოწმობენ ასეთი ციფრები: ერთ დღე-ღამეში ბრძმედი იძლევა იმდენ ლითონს, რამდენიც საკმარისია იმისათვის, რომ გამოშვებულ იქნას ერთ მილიონზე მეტი ორსახნისიანი გუთანი ან ათასი ტრაქტორი.

სანმინსიელი ვან ძე-სუნი

სანმინსიას (სამი კარიბჭის ხეობაშია) ახალ მოსახლეთა შორის ერთ-ერთი პირველი იყო ვან ძე-სუნი.

გამოხუნებული მაგრამ აკურატულად დაუთოებული ქურთუკის მარჯვენა მხარეზე მწყობრადაა მიკრული მედალი. ეი მედალი გუანტინის წყალსაცავის მშენებლობისათვის, ეს კი წარმოების მოწინავეთა პროვინციული შეკრების დელეგატის მედალია, კიდევ ერთი კი — ტოუხეს წყალსაცავის მშენებლობაზეა მიღებული.

ბევრ მშენებლობაზე უშრომია ვან ძე-სუნს — იანძის საირიგაციო სისტემა, გუნტინის წყალსაცავი პეკინის მახლობლად, ტოუხეს წყალსაცავი და, ბოლოს, სანმინსია.

...ჯერ კიდევ დამთავრებული არ იყო გუნტინის წყალსაცავის მშენებლობა, კომკავშირელთა ჯგუფმა კი უკვე განცხადება შეიტანა და მოითხოვა სანმინსიაში გაგზავნა.

ბიჭებს გულცივად შეხვდა „ხამი კარიბჭის ხეობა“. არ იყო გზები, არ ჰყოფნიდათ საცხოვრებელი ბინები, მაგრამ ახალგაზრდები როდი შედრკნენ; მათი ხელით საფუძველი ეყრება ჩინეთში პირველ უდიდეს ჰიდროელექტროსადგურს.

ვან ძე-სუნის ბრიგადამ ააშენა პირველი საცხოვრებელი სახლი ჰიდრომშენებელთათვის, მომამზადა ნავსაბელები, გაიყვანა გზაკეცილები, გასდო ხიდები.

მალე ბრიგადას პასუხსაგები ამოცანა მიანდეს — კიდული ბაგირის გზის გაყვანა.

მუშამბას დიდ სიმაღლეზე აწარმოებდნენ. ქარი აქანავებდა კიდულ აკვანს. ნელ-ნელა, თითო მეტრობით წინ მიიწევდა ბაგირის გზა. ბრიგადირის მაგალითი აღფრთოვანებდა ყველას.

ბაგირის გზა საექსპლოატაციოდ გადაეცა გათვალისწინებულ ვადებზე ადრე.

დამკვრელური მუშამბისათვის ვან ძესუნის ბრიგადამ სანმანსიაში ერთ-ერთმა პირველმა მიიღო საპატიო წოდება — „დამკვრელური ბრიგადა — თანამგზავრი“ საბჭოთა მეცნიერებისა და მუშების იმ შესანიშნავი გმირობის აღსანიშნავად, რომ კოსმოსში გაუვლიათ იქნა ისტორიაში პირველი თანამგზავრი.

საბჭოთა მშენებლების მაგალითით სანმინსიაში იწყება მოძრაობა იმისათვის, რომ დაეუფლონ მონათესავე პროფესიებს. მუშამბისაგან თავისუფალ დროს ვან ძე-სუნმა ითვისა ელექტროშემდუღებლის სპეციალობა, რაც მალე გამოადგა.

მეზობელ უბანზე სასწრაფოდ დასჭირდათ ელექტროშემდუღებლები, რათა დროზე დაემთავრებინათ ხიდის მშენებლობა.

ვანმა დაიყოლია ცვლის უფროსი, რათა მისთვის მიენდოთ ყველაზე ძნელი უბანი.

ამინდი გაფუჭდა. შემოდგომის მძაფრმა ქარმა ააჭიანა ხუანხე. ნარილი ნინწყლები გადაეკვლო ხიდის ნაფენს, რომელზეც ვან ძე-სუნი მუშაობდა. მალე დასველდა კომბინეზონი, სიცივე ხელს უშლიდა ყოველგვარ მოძრაობას. რამდენიმე საათი დაპყო წყალზე ვან ძე-სუნმა. შედეგები გათვალისწინებულ ვადაში დაამთავრა.

ყოჩაღ, — შეაქო ოსტატმა, — ჩინებულად შეადუღე მილები.

— რას გაიკეთებთ ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის დამთავრების შემდეგ?

ვან ძე-სუნი გვიპასუხებს: სანმინსიას შემდეგ წავალ ახალ ჰიდროელექტროსადგურზე, იანძიზე.

ა. ვლასოვი.

КОМСОМОЛЕЦ
ქომუნისტი
მე-3 გვერდი, ხუთშაბათი,
15 დეკემბერი, 1960 წ.

ამერიკის შეერთებული შტატები განაგრძობენ ახალი სამხედრო ბაზების შექმნას დიდი ბრიტანეთის ტერიტორიაზე. ინგლისის სანაპირო წყლებში თავისუფლად დაცურავენ ატომური წყალქვეშა ნავები...

(გაზეთებიდან).



მორის ტორეზი: ალჟირელთა თვითგამორკვევის უფლება უნდა განხორციელდეს!

პარიზი, 12 დეკემბერი. (საკდესი). მომავალი წლის იანვარში ალჟირის საკითხზე რეფერენდუმის მზადებასთან დაკავშირებით საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მორის ტორეზმა წერილით მიმართა მთელ რიგ პოლიტიკურ პარტიებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს და შესთავაზა მათ ერთობლივად დაუჭირონ მხარი მო

კომუნისტი
პოლიტიკური

ჩვენი დღეგრძელობის გზა ჩვენს ხელშია, მეგობრებო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი გაზეთის 24 ნოემბრის ნომრის მეოთხე გვერდი მიეძღვნა ადამიანის ჯანმრთელობის შენარჩუნების ერთ-ერთ აქტუალურ საკითხს — **„გვინდა დღეგრძელობა? — ვიაროთ ფეხით!“.**

ამ გვერდში გამოქვეყნებულმა წერილებმა ჩვენს მკითხველებში ცხოველი ინტერესი გამოიწვია. რედაქციაში მოდის მრავალი წერილი, შენიშვნა, რომელშიც ავტორები გამოთქვამენ თავიანთ აზრებს, აყენებენ ახალ წინადადებებს, გვიზიარებენ მკურნალობის გამოცდილებას.

საბჭოთა ადამიანის ფიზიკური კულტურა

დღევანდელ ნომერში ჩვენ ვაქვეყნებთ ნაწილს ამ წერილებისა, რომლებიც უთუოდ საინტერესო იქნება მკითხველისათვის.

ჩვენი დღეგრძელობის გზა ჩვენს ხელშია, მეგობრებო!

კუნთების სიხარული

★ ★

ჩვენი რესპუბლიკური გაზეთის მიერ გამოქვეყნებული კორესპონდენციები სათაურით — „გვინდა დღეგრძელობა? — ვიაროთ ფეხით!“ დროული და აქტუალურია. მაგრამ სიარულთან ერთად არსებობს მთელი რიგი ისეთი საკითხები, რომელთა ცოდნა აუცილებელია.

ადამიანის ჯანმრთელობის შენარჩუნებაში დიდი მნიშვნელობა აქვს, სხვა მრავალ საკითხთან ერთად, ფიზიკურ კულტურას, შრომასა და დასვენებას.

ამ წერილში სწორედ ამის შესახებ მინდა ვესაუბრო მკითხველებს.

ფიზიკური კულტურა და სპორტი. სიცოცხლის გახანგრძლივებისათვის, ნაადრევ „მოხუცებულობასთან ხანგრძლივად დიდია ფიზიკური კულტურისა და სპორტის მნიშვნელობა.

დილით გაღვიძებისთანავე სწრაფად უნდა ავდგეთ და შევუდგეთ ვარჯიშს. ფიზიკური ვარჯიშის დროს კუნთები გაძლიერებით მუშაობს, ეს კი ხელს უწყობს მუსკულატურის განვითარებას, აძლიერებს სისხლის მიმოქცევას, აააქტიურებს გულის მუშაობას. ფიზიკური ვარჯიში დადებით გავლენას ახდენს ნერვულ სისტემაზე, ხელს უშლის ჰიპერტონიული დაავადების განვითარებას.

პავლოვი ფიზიკურ ვარჯიშს „კუნთების სიხარულს“ უწოდებდა და თვითონ ღრმა მოხუცებულობის დროსაც კი სისტემატურად ვარჯიშობდა, გატაცებული იყო ველოსპორტით, თამაშობდა ქალაქობიას, ცურავდა ნეკაში.

აკადემიკოსი ბოგომოლეცი არაერთხელ აღნიშნავდა, ადამიანისათვის დღე ვარჯიშით, მახალით უნდა იწყებოდეს და ამითვე თავდებოდესო. ფიზიკურ კულტურაზე ყოველდღე 10-20 წუთი დახარჯული დრო ადამიანს მრავალი წლით უხანგრძლივებს სიცოცხლეს.

ჯანმრთელობის შენარჩუნებასა და განმტკიცებაში გარკვეულ დადებით გავლენას ახდენს ცივი წყლით ტანის დაზელა, ოღონდ საჭიროა, რომ ორგანიზმი წყალს მივაჩვიოთ ზაფხულიდან. კარგია თვითმასაჟიც.

შრომა და დასვენება. შრომისა და დასვენების სწორი რეჟიმი ორგანიზმს იცავს დაქანცვისაგან. ჩვეულებრივი დაღლილობა ნორმალური ფიზიოლოგიური მოვლენაა, რომელიც გამოწვეულია გარკვეული მუშაობით და გაიარის დასვენების შემდეგ.

შრომისუნარიანობაზე დადებით გავლენას ახდენს ინტერესი და გატაცება შრომით. ენთუზიაზმით მომუშავე ადამიანი დაღლილობას არ გრძნობს და შრომის შედეგიც მაღალია.

მიზანდასახული, ორგანიზებული შრომა ჯანმრთელობის შენარჩუნების მთავარი პირობაა, ხოლო უსაქმობა აქვეითებს ნივთიერებათა ცვლის ინტენსივობას და ხელს უწყობს ორგანიზმის მიდრეკილებას ამა თუ იმ დაავადებისადმი.

ფიზიკური შრომის დროს საჭიროა დღის განმავლობაში 2-3-ჯერ 3-5 წუთით მოეწყოს „ფიზკულტპაუზა“. მუშაობის შემდეგ დასვენება უნდა იყოს აქტიური, ერთი სახის შრომიდან საჭიროა გადავიდეთ მეორეზე.

აუცილებელია ადამიანი დღის განმავლობაში სულ ცოტა საათნახევარს იმყოფებოდეს სუფთა ჰაერზე. ეს დრო შემდეგნაირად შეიძლება განაწილდეს: ნახევარი საათი სამსახურში წასასვლელად, ამდენივე სამსახურიდან დასაბრუნებლად, ხოლო ნახევარი საათი ძილის წინ სასეირნოდ.

ვიყოთ ჯანმრთელნი — ასეთია თვითეული ადამიანის ბუნებრივი მისწრაფება.

პროფესორი გ. ნათაძე,
სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე.

სიცოცხლის წყარო

სასახელო და საპატიოა ადამიანის ჯანმრთელობისა და სიცოცხლის საფარაჯოზე.

სწორედ ამიტომ მისასალმებელია ჩვენი პრესის მიერ გამოქმეული შენიშვნები და წინადადებები ადამიანის ჯანმრთელობისა და სიცოცხლის შენარჩუნების საკითხებზე.

ნადირობა რომ მიმზიდველი სპორტია და გატაცება იცის, ეს ფაქტია. ერთხელ მეც ავყევი ფეხის ხმას და გავყევ საკმაოდ ცნობილ მონადირეებს. სისხამ დილით უკვე ადგილზე ვიყავით. ხან სიარული, ხან სირბილი, ხან მთაგორიან ადგილას ასვლა. ვინ იცის კიდევ რამდენ სიძნელეებთან არის დაკავშირებული ნადირობა. მართალი გითხრათ, პირველად თავბედი ვიწყევლე. ვნატრობდი ტყეში ცხენს ან მანქანას. (!) ჩემს ამხანაგებს ეს სიცილადაც არ ჰყოფნიდათ. მამხნევებდნენ, პირველად ხარ და ამიტომ დაიღალეო. მათ რომ ვუყურებდი, არც დაღლილობა ეტყობოდათ და არც გულს უჩიოდნენ. მე კი გული ამოვარდნაზე მქონდა. დაღლილ-დაქანცული დავბრუნდი შინ. პირველ დღეს არაფერი, მაგრამ მეორე დღეს ფეხის გადადგმა არ შემეძლო, ყველა კუნთი და სახსარი მტკიოდა. მეორედ მაინც წავედი და უკვე ისე აღარ გამიძნელდა. ხოლო მესამედ წასვლის შემდეგ სხვებს დავცინოდი.

ფეხით სიარული სიცოცხლის წყაროა. მე უკვე ეჭვი აღარ მეპარება, რომ ნადირობა, თევზაობა, ღია ცის ქვეშ, სუფთა ჰაერზე ყოფნა, ფეხით სიარული ახანგრძლივებს სიცოცხლეს და უკეთებს ადამიანს სხეულს.

კ. თორდია,
ახალქალაქის მზარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი.

სურათზე: ტურისტები ბიჭვინთის მიდამოებში.

ფოტო ნ. ჯომიდავახი.
(საქდესის ფოტოქრონიკა).

რა სჯობია ყოფნას სუფთა ჰაერზე!

გაზეთმა „კომუნისტმა“ თავის ფურცლებზე ადამიანის ჯანმრთელობის გაუმჯობესების მეტად სასარგებლო საკითხი დააყენა და ამით ბევრი ჩვენგანის გულის წადილი გამოხატა.

ცნობილია, რომ ვ. ი. ლენინი გონებრივ მუშაობაში დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ყოველდღიურ, სავალდებულო ვარჯიშს, სუფთა ჰაერზე გავლას.

მიუხედავად დედისათვის მიწერილ ერთ-ერთ წერილში იგი წერდა: „მე სავსებით ჯანმრთელად ვარძნობ თავს, ალბათ იმიტომ, რომ შედარებით ბევრს დავდივარ და ცოტას ვზივარ“. ვ. ი. ლენინი ამავე დროს თავის მახლობლებსაც ურჩევდა: „მთავარია არ დაივიწყო ყოველდღიური, სავალდებულო ვარჯიში, თავს ძალა დაატანე გააკეთო რამდენიმე ათეული სხვადასხვა მოძრაობა! ეს ძალზე მნიშვნელოვანია“.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ბევრი იხალი აზრი, იდეა, დებულება იბადება არა მარტო ჩვენს სამუშაო კაბინეტებში, არამედ ბუნების საუცხოო სანახობის გარემოცვაში, სუფთა ჰაერზე, ველზე მუშაობის პირობებში. იქ ადამიანი უფრო ლაღად გრძნობს თავს და დასვენებულ გონებასაც უფრო მტი ფიქრისა და მოსაზრების უნარი აქვს. ვისაც ეს განუცდია, მან კარგად იცის შემოქმედებითი მუშაობის ეს საიდუმლოება.

ვისაც ფშავის ალწაზეზეს მთებიდან ზამთარში თუ ზაფხულში ვალას ჩარგლისა და მისი მიდამოებისათვის უცქერია, ზედაზნიდან მცხეთისა და საგურამოს მიდამოებისა და არაგვის ხეობისათვის გადმოუხედავს, სიღნაღისა და წითელწყაროს ქედებიდან კავკასიონის მთები, დაკალკნილი ალაზნის ველი და ჭალები უნახავს, თავფარავანზე ყოფილა ან კიდევ აჭარა-გურიის მთებიდან გურიისა და კოლხეთის სილამაზისათვის თვალი შეუყვლია, ლატფაროს გადასასვლელს წვერზე მოქცევია და იქიდან გადმოუხედავს, არ შეიძლება ჩვენი ლამაზი და წარმტაცი მშობლიური მხარე უფრო მეტად არ შეპყვარებოდა.

ადამიანის ბუნებასთან ურთიერთობის საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს სპორტის უბერებელი სახეობა — ნადირობა. იგი ფიზიკურად აკაჟებს და ახალგაზრდაკაცს ადამიანს, აჩვევს დაბრკოლებების გადალახვას, უვითარებს გამძლეობას, სისწრაფისა და სიზუსტის უნარსა და ალღოს, ხოლო მიღებული შთაბეჭდილებანი და განცდები სულიერად ამაღლებენ, ამშვიდებენ და აშვენიერებენ ადამიანის ბუნებას.

ჩვენი მუშაობის პირობებში განსაკუთრებით საჭიროა **ყოველდღიური სავალდებულო ვარჯიში**, რომელიც ადამიანს მატებს შრომის უნარს, ენერგიასა და ხალისს და უვითარებს გონებას, ნებისყოფას. კიდევ უფრო ეფექტიანია შედეგები, როდესაც ვარჯიშთან შეხამებული დილაადრიან, ახლად გამოღვიძების შემდეგ, **ბილიკებზე გავლა.** ამ მხრივ მეტად მოხერხებულია თბილისის ვაკის ახალი პარკი მისი წარმტაცი ბილიკებით (თუმცა ჯერ კეთილმოუწყობელი) კუს ტბამდე. ამ ბილიკებიდან გადაპყურებთ ახალსა და ძველ თბილისს და ტკბებით მშობლიური დედაქალაქის წარმტაცი სურათებით....

დილაადრიან გასეირნებისა და ნადირობის სპორტისადმი სიყვარულის მხრივ მისაბაძია ჩვენი პროფესორების ნ. კეცხოველის, გ. ახვლედიანის, ი. ცინცაძის, პ. ბერაძის, ლ. კარბელაშვილის, ლ. ანჯაფარიძის, დ. შოთაძის, გ. ფიცხელაურის, ს. წერეთლისა და სხვების მაგალითი.

იმედია, რომ ეს წაბაძვა სულ მალე ხანში მრავალ მომდევნოს გაიჩენენ.

პროფესორი ს. ჟღენტი.

ამ ადგილებში?!

სამამულო ომის წლებში, როგორც მეომარს, მოგვლილი მაქვს გერმანიის, პოლონეთის, მონღოლეთისა და ჩინეთის გზები, მაგრამ, პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ადამიანის გაჯანსაღებისა და სხეულის გაკაჟებისათვის არსად არ არსებობს ისეთი პირობები, როგორც ჩვენში — საქართველოში.

ჩვენი სამშობლოს მთავარი დასერილია მდინარეებით, ხევებით, მყინვარებით, მაღალი მწვერვალებითა და ალი კლდეებით, დაფარულია წიწვიანი და ფოთლოვანი ტყეებით. რა კარგი იქნებოდა, რომ ყოველ ზაფხულობით ჩვენი სამშობლოს რომელიმე კუთხეს საკუთარი ფეხით დავიარეთ, ვნახავდეთ და გავიცობდეთ.

დარწმუნებული ვარ, რომ ბევრი თბილისელი, ქუთაისელი თუ სხვა ჩვენი ქალაქელი არ ყოფილა სვანეთში, თუშეთსა-ხევსურეთში ან აფხაზეთ-აჭარის მთებში. ჯანმრთელობა კი მთებშია. მთიელი ხალხი ჯანმრთელი და კაჟივით მაგარია. აქ ბევრია ქალი თუ კაცი, რომელიც საუკეთესო და უფრო მეტ ხანსაც ცოცხლობენ. ჩვენში — სოხუმის რაიონის სოფელ აჟარაში ცხოვრობს ბესარიონ ალმასხანის-ძე დევდარიანი. იგი 113 წლისაა, მაგრამ თავს ძნელად გრძნობს, მუშაობს როგორც სახლში, ისე კოლმეურნეობაში. ასევე გამოიყურება მეორე მოხუცი — დმიტრი ხუციელიანი, რომელიც 106 წლისაა. ამავე სოფელში მცხოვრები ბათლომე წულუკიძე, რომელიც 70 წელს გადასცილდა, თავისუფლად ნადირობს ჯიხვებზე მთის ჭიუხებში. მთის სუფთა ჰაერი, მზე, მუდამდღე ბუნებასთან კავშირი, ფიზიკური დაძაბულობა ადამიანის ჯანმრთელობის საწინდარია. ცხადია, აქ დიდ როლს თამაშობს ფეხით სიარულიც.

სამწუხაროდ, ამ მხრივ საქართველოში ყველა პირობა არ არის გამოყენებული. ახალგაზრდობის ერთი ნაწილი ქალაქის პროსპექტებზე ხანგრძლივად ერთ ადგილას დგომას ვერ ელეკა და სოფელს აბუჩად იგდებს.

ალპინიზმი საქართველოში კარგად არის განვითარებული, მაგრამ ამას ვერ ვიტყვით ტურიზმისა და ექსკურსიების შესახებ.

სოხუმის გზით უკვე ათეული წლებია მოქმედებს ტურისტების 43-ე მარშრუტი. ყოველწლიურად ათეულ ათასობით ტურისტი ამ გზით ჩამოდის სოხუმში. ათი წლის განმავლობაში ამ მწვერვალით გადმასული მხოლოდ ორიოდე ქართველი თუ მინახავს, მაშინ როცა ძალიან ბევრია ტურისტი ლადოგოსტოკიდან, არხანგელსკიდან, მურმანსკიდან, რუსეთის, უკრაინის, ბელორუსიისა და ბალტიისპირეთის სხვადასხვა ქალაქებიდან. რატომ ჩვენ, ქართველები, არ უნდა ვისწრაფოდეთ ჩვენი სამშობლოს ყველა კუთხე დავიაროთ საკუთარი ფეხით და საკუთარი თვალით ვნახოთ მდიდარი, ლამაზი და შეუდარებელი ჩვენი სამშობლოს ყველა კუთხე, ვისუნთქოთ მისი ჰაერი, გავთბეთ მისი მზით და ზურგზე ჩანთამოკიდებული ვესტუმროთ მის სოფლებს, ვაკეებს თუ მაღლობებს, შევისწავლოთ იგი, ამ სწავლაში გავიკაფოთ სხეული და განვამტკიცოთ ჯანმრთელობა.

ლ. კორძაია,
სოხუმის რაიონის აჟარის საშუალო სკოლის მასწავლებელი.

არ გჯერათ? შეამოწმეთ!

სამეცნიერო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ (1946 წ.) სულ რაიონში მიხდება ცხოვრება.

მოგზაურობის პირველი ჩემი მარშრუტი ეი იყო ჯავის ციცაბო კლდეებზე სიარული, სადაც სამ წელიწადს ვმუშაობდი.

უკანასკნელ 7 წელს წითელწყაროს რაიონის მთებში ვატარებ. ჩემი ბინიდან სამსახური მოცილებულია 4 კილომეტრით. შემოკლებული გზა მიმსალელი — მთის ბილიკებით ავირჩიე. ამ გზით მივდივარ და ამ გზით ვბრუნდები. ე. ი. დღეში 8 კილომეტრის გავლა მიხდება, რომ არ ჩავთვალოთ მეორედ წასვლა ავადმყოფთან გამოძახებისას.

ჩემი მუშაობის 15 წლის დაკვირვებით დავრწმუნდი, რომ უშვილო ქალთა შორის 10-15 პროცენტი ჯდომარე ცხოვრებას ეწევა, გასუქებული არიან, ნაკლებ ფიზიკურ შრომას ეწევიან, ფეხით სულ არ დაიარებიან, ფიზკულტურა ხომ მათთვის უცხო და უჩვეულოა, ტანზე აცვიათ მეტისმეტად თბილად, მოძრაობას მოკლებული არიან, რის გამოც მათი ორგანიზმის ყველა ორგანოს ფუნქციონირებაც დაქვეითებულია.

ექიმი თ. მენთეშაშვილი,
წითელწყაროს რაიონი, სოფ. არბოშიკი.

ბახულ წელს თბილისიდან სოფლად ერთი ამხანაგი მესტუმრა. იგი თავის ასაკთან შედარებით ძალზე მსუქანი

ბიმოგზაურიათ ამ ადგილებში?!

სამამულო ომის წლებში, როგორც მეომარს, მოგვლილი მაქვს გერმანიის, პოლონეთის, მონღოლეთისა და ჩინეთის გზები, მაგრამ, პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ადამიანის გაჯანსაღებისა და სხეულის გაკაჟებისათვის არსად არ არსებობს ისეთი პირობები, როგორც ჩვენში — საქართველოში.

ჩვენი სამშობლოს მთავარი დასერილია მდინარეებით, ხევებით, მყინვარებით, მაღალი მწვერვალებითა და ალი კლდეებით, დაფარულია წიწვიანი და ფოთლოვანი ტყეებით. რა კარგი იქნებოდა, რომ ყოველ ზაფხულობით ჩვენი სამშობლოს რომელიმე კუთხეს საკუთარი ფეხით დავიარეთ, ვნახავდეთ და გავიცობდეთ.

დარწმუნებული ვარ, რომ ბევრი თბილისელი, ქუთაისელი თუ სხვა ჩვენი ქალაქელი არ ყოფილა სვანეთში, თუშეთსა-ხევსურეთში ან აფხაზეთ-აჭარის მთებში. ჯანმრთელობა კი მთებშია. მთიელი ხალხი ჯანმრთელი და კაჟივით მაგარია. აქ ბევრია ქალი თუ კაცი, რომელიც საუკეთესო და უფრო მეტ ხანსაც ცოცხლობენ. ჩვენში — სოხუმის რაიონის სოფელ აჟარაში ცხოვრობს ბესარიონ ალმასხანის-ძე დევდარიანი. იგი 113 წლისაა, მაგრამ თავს ძნელად გრძნობს, მუშაობს როგორც სახლში, ისე კოლმეურნეობაში. ასევე გამოიყურება მეორე მოხუცი — დმიტრი ხუციელიანი, რომელიც 106 წლისაა. ამავე სოფელში მცხოვრები ბათლომე წულუკიძე, რომელიც 70 წელს გადასცილდა, თავისუფლად ნადირობს ჯიხვებზე მთის ჭიუხებში.

მკითხველთა წერილებიდან

ბავშვობიდანვე მიყვარდა მოგზაურობა. ახლა უკვე 52 წლისა ვარ, და ეს სიყვარული დღესაც არ გამქრალა ჩემს გულში, კვლავ მიტაცებს მთები, მწვერვალები... დილით ვარჯიში, ტანის ცივი წყლით დაზელა, სოხუმის მთის ტყე-პარკში გასეირნება — სამუშაოზე ყოველთვის ხალისიანსა მხდის.

თვალწინ მიდგას ბაკურიანის, აჭარა-იმერეთის მთები, ქლუხორის, ალიბეგის, კიზღაკუშის, ნაზალიკოლის, ბალიკ-ბაბშის, ეფჩრის, ჯუკაუშის და ყარასუს ულელტეხილები ჩრდილოეთ კავკასიაში. ყოველწლიურად ამ ულელტეხილებზე მოგზაურობით, სამთო ტურიზმში მონაწილეობით უკვე მივაღწიე მეორე სპორტულ თანრიგს ტურიზმში. მომავალი წლისათვის ვემზადები მესამე კატეგორიის სიძნელეების გადასალახავად.

რაც შეიძლება მეტი ვიაროთ ფეხით. შეექმნათ ტურისტული სექციები ყველა საწარმოში, გავიდეთ ქალაქგარეთ დასვენების დღეებში — ზამთარში იქნება ეს თუ ზაფხულში, მოვაწყოთ ტურისტული ლაშქრობები!

ნ. მიქაშავიძე,
აფხაზეთის სსრ სახალხო არტისტი.

შრომა!?.

გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციას! მივესალმები თქვენ მიერ აღძრულ საკითხს — „გვინდა დღეგრძელობა? — ვიაროთ ფეხით!“.

მაგრამ მინდა ზოგიერთი შენიშვნა მაინც გავაკეთო. გაზეთმა რატომღაც გვერდი აუარა ფიზიკურ შრომას სუფთა ჰაერზე, ბაღ-ბოსტანში, ქალაქის პარკებში, სკვერებში. თქვენ კი ჯანმრთელობისათვის მხოლოდ სიარულს ურჩევთ. როგორც თბილისში, ისე სხვა ქალაქებში უხვად არის დასასვენები პარკები, სკვერები. რატომ არ შეიძლება, პარკებში და სკვერებში გავიდეთ და იქ სუფთა ჰაერზე ვემუშაოთ, დავრგოთ, მოვუაროთ, გავოთხნოთ მცენარეები, ვემუშაოთ ბაღ-ბოსტნებში და სხვ. ყველაფერი ეს ხომ ჯანმრთელობაა ადამიანისათვის.

ფიზიკური შრომა სუფთა ჰაერზე ყველაზე უკეთესი საშუალებაა ღეგრძელობისათ-ის.

ს. ნუცუბიძე,
საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებელი.

ქალთა საჭადრაკო ჩემპიონატი

ტ. ზატულოვსკაიამ და ვ. ბორისენკომ პირველი ორი ადგილი გაიყვეს

რიგა. 14 დეკემბერი. ჩვენმა სპეციალურმა კორესპონდენტმა ლ. გელოვანმა დღეს გვიან საღამოს ტელეფონით გვაცნობა:

ასეთი ინტერესი ჩემპიონატის ფინიშს თითქმის არასოდეს არ გამოუწვევია. უკანასკნელი ტურის წინ ჩემპიონატის ცხრილში გაურკვეველი მდგომარეობა შეიქმნა — ვის უნდა მოეპოვებია ჩემპიონობა — ტ. ზატულოვსკაიას, თუ ვ. ბორისენკოს, ვინ გამოვიდოდა მესამე ადგილზე — ლ. ვოლპერტი, თუ ნ. გაფრინდაშვილი, ვინ გავიდოდა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ტურნირში, ვინ მოიპოვებდა ჩემპიონატზე დაწესებულ პრიზებს.

ამ კითხვების გარშემო ტრიალებდა დღეს ჭადრაკის ათასობით მოყვარულის ფიქრები და აზრი. მაგრამ ამომწურავი პასუხის გაცემა ძნელი იყო, ყველაფერი უნდა გადაეწყვიტა უკანასკნელ, მე-19 ტურის შეხვედრებს, პირველ რიგში ტ. ზატულოვსკაია-ო. იგნატიევას, მ. ტოგონიძე-ვ. ბორისენკოს, ლ. ვოლპერტ-ვ. ტიხომიროვასა და ნ. გაფრინდაშვილ-ო. რუბცოვას პარტიებს.

და აი რიგის ოფიციერთა საოლქო სახლის დარბაზი, სადაც ერთი თვეა მიმდინარეობს ჩემპიონატი, დღეს ისე როგორც არასოდეს, გაჭედილი იყო მაყურებლებით.

ორივე ლიდერმა ტ. ზატულოვსკაიამ და ვ. ბორისენკომ თავი აარიდეს ბრძოლის გამწვავებას და ყაიმით დაამთავრეს პარტიები ო. იგნატიევასთან და მ. ტოგონიძესთან.

ამრიგად, ხსრ კავშირის ქალთა XX საჭადრაკო

ტ. ზატულოვსკაია.

ვ. ბორისენკო.

• • •

ჩემპიონატი დამთავრდა ბაქოელი ახალგაზრდა მოჭადრაკის ტ. ზატულოვსკაიასა და ვ. ბორისენკოს (სვერდლოვსკი) გამარჯვებით, რომლებმაც ცამეტ-ცამეტი ქულით პირველი ორი ადგილი გაინაწილეს. ჩემპიონის გამოსავლენად ამ ორ მოჭადრაკეს შორის მოეწყობა მატჩი, რომლის დრო და ადგილი გამოცხადებული იქნება ცალკე.

ამ გამარჯვებით ტ. ზატულოვსკაიამ და ვ. ბორისენკომ ამასთანავე მოიპოვეს მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ტურნირში მონაწილეობის უფლება.

ლ. ვოლპერტ-ვ. ტიხომიროვასა და ნ. გაფრინდაშვილ-ო. რუბცოვას პარტიები, რომელთა შედეგებს უნდა გამოევლინა მესამე და მეოთხე ადგილის მფლობელები, არ დამთავრებულა. პირველში მოსალოდნელია ყაიმი, ხოლო მეორეში ო. რუბცოვას პოზიცია უკეთესია.

უკანასკნელ ტურში ე. კაკაბაძემ დაამარცხა ა. ჩაიკოვსკაია, ა. კუშნირმა-ტ. კრიუკოვა, ტ. ფილანოვსკაია-კ. ზვორიკინას, ვ. კოზლოვსკაია-ხ. როზოტარესა და ა. ვიტკოვსკაია-ფ. დმიტრიევას პარტიები ყაიმით დამთავრდა.

ძირითადად შეიცვალა ჩემპიონატის ცხრილი. მესამე-მეოთხე ადგილების პრეტენდენტები არიან ლ. ვოლპერტი და ნ. გაფრინდაშვილი, რომლებსაც 11,5 ქულა და თითო გადადებული პარტია აქვთ. ვ. ტიხომიროვასა აქვს 10,5 ქულა და 1 გადადებული პარტია, ე. კაკაბაძეს — 10 ქულა, ფ. დმიტრიევასა და ს. როზოტარეს 9,5 ქულა თვითეულს, მ. ტოგონიძეს, კ. ზვორიკინასა და ვ. კოზლოვსკაიას — ცხრა-ცხრა ქულა.

15 დეკემბერს მოეწყობა გადადებული პარტიების დამთავრება და ჩემპიონატის საზეიმო დახურვა.

კიდევ ერთი გამარჯვება

მინსკი. 14 დეკემბერი. დღეს აქ გრძელდებოდა სსრ კავშირის გუნდური პირველობის გათამაშება კლასიკურ ჭიდაობაში.

როგორც ვიუწყებოდით, პირველ წრეში საქართველოს მოჭიდავეებმა დაამარცხეს ლენინგრადის გუნდი. შედეგი იყო 5,5:2,5. რსფსრ მოჭიდავეებმა მოუგეს ყირგიზეთის გუნდს 7:1, სომხეთმა — აზერბაიჯანს 5,5:2,5, უკრაინამ — მოლდავეთს 5,5:2,5, ბელორუსიამ — თურქმენეთს 6,5:1,5, უზბეკეთმა — ლატვიას 4,5:3,5, მოსკოვმა — ესტონეთს 6:2, უზბეკეთმა — ტაჯიკეთს 6:2.

დღევანდელი მატჩებით დაიწყო ჩემპიონატის მეორე წრე. საქართველოს მოჭიდავეები, რომლებიც ლატვიის გუნდს შეხვდნენ, კვლავ წარმატებით იბრძოდნენ და მორიგი გამარჯვება მოიპოვეს ანგარიშით 7:1. სუფთა გამარჯვება მოიპოვეს შეყრილამ და უგრეხელიძემ, ქულებით — ჩიტიაშვილმა, ქორიძემ, გვანცელაძემ, სინაურიძემ, გველესიანმა.

მწვავე ბრძოლით ხასიათდებოდა შეჯიბრება უკრაინისა და ბელორუსიის ძლიერ კოლექტივებს შორის. მასპინძლებმა შეხვედრები მაღალ სპორტულ დონეზე ჩაატარეს და მოიგეს მატჩი 6:2. პირველ წრეში დამარცხების შემდეგ აზერბაიჯანელებმა ძლიერ ყირგიზელ მოჭიდავეებს და გაიმარჯვეს ანგარიშით 8:0. მოლდავეთმა მოუგო თურქმენეთს 6:2, რსფსრ მოჭიდავეთა კოლექტივმა — სომხეთის გუნდს 5,5:2,5.

ამრიგად, საქართველოს კლასიკურ მოჭიდავეთა გუნდმა პირველი ორი წრე დაუმარცხებლად გაიარა.

სიახლენი თასის გათამაშებაში

გათამაშების სისტემა, როგორც წინათ — ოლიმპიურია, მატჩის მსვლელობასს შეიძლება მეკარისა და ერთი მინდვრის მოთამაშის შეცვლა. „ა“ და „ბ“ კლასის გუნდები გათამაშებაში მონაწილეობას მიიღებენ სურვილის მიხედვით. ამის შესახებ მათ განაცხადი უნდა შეიტანონ არა უგვიანეს 1961 წლის 1 თებერვლისა.

თუ სსრ კავშირის თასის გათამაშებაში მონაწილე გუნდების რიცხვმა 64-ს გადაჭარბა, „ა“ კლასის ფეხბურთელთა კოლექტივები ბრძოლაში ჩაებმებიან 1/32 ფინალიდან, ხოლო თუ მათი რიცხვი ნაკლები აღმოჩნდება, მაშინ „ა“ კლასის გუნდები მონაწილეობას მიიღებენ 1/16 ფინალიდან.

თასის გათამაშებაში მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს ის, რომ შეჯიბრება მოეწყობა სსრ კავშირის პირველობის პარალელურად. ყოველი გუნდი თვეში გამართავს თასის 1 მატჩს.

ფინალური მატჩი ჩატარდება 29 ოქტომბერს, მაგრამ სად?

იმ შემთხვევაში, თუ დასკვნითს ასპარეზობაში მონაწილეობის უფლება მოიპოვა მოსკოვის ორმა გუნდმა, მაშინ ფინალი შედგება მოსკოვში, წინააღმდეგ შემთხვევაში, ვთქვათ, მოსკოვისა და ლენინგრადის, მოსკოვისა და კიევის, ან მოსკოვისა და თბილისის გუნდების ფინალში გასვლის შემთხვევაში — ნეიტრალურ მოედანზე.

მოსკოვის საცურავ აუზში

გუშინ მოსკოვის არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის საცურავ აუზში ჩვენი ქვეყნის პირველობაზე წყალბურთში მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და თბილისის „დინამოს“ გუნდების მატჩი დამთავრდა ფრედ 2:2. პირველი ორ ტაიმი დამთავრდა თბილისელთა სასარგებლოდ 2:0, ორივე ბურთი გაიტანა ჩხიკვაძემ.

ამინდი

15-დან 20 დეკემბრამდე დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, სანაპირო რაიონებში ალაგ-ალაგ ნალექი, აღმოსავლეთის სუსტი ზომიერამდე, რიონის ხეობაში დროგამოშვებით ძლიერი ქარი; ტემპერატურა დაბლობ რაიონებში მინიმალური 4-9, მაქსიმალური 13-18 გრადუსი სითბო, მთიან რაიონებში მინიმალური 4-9, მაქსიმალური 13-18 გრადუსი სითბო.

აღმოსავლეთ საქართველოში — ცვალებადი მოღრუბლულობა, აღმოსავლეთ რაიონებში ალაგ-ალაგ ნალექი და ნისლი, სუსტი ქარი; ტემპერატურა დაბლობ რაიონებში მინიმალური 0-5 გრადუსი ყინვა, მაქსიმალური 8-8 გრადუსი სითბო, მთიან რაიონებში მინიმალური 5-10 გრადუსი ყინვა, მაქსიმალური 1-6 გრადუსი სითბო.

რედაქტორი
დ. მეჯლიშვილი.

15 დეკემბერი

თეატრები: ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის — ბაღჩისარაის შადრევანი (მე-9 აბონ. მე-4 წარმ.), რუსთაველის სახელობის — ქალთა აჯანყება (პრემიერა), მარჯანიშვილის სახელობის — მე, ბებია, ილიკო და ილარიონი, გრიბოედოვის სახელობის — დამოკლეს მახვილი (1 აბონ. 1 წარმ.), სანსულტურის — ოუპიტერი იცინის (აბონ. № 7), მოზარდ მაყურებელთა ქართული — დაკარგული დრო (აბონ. № 36, 4 ს.), თოჯინების ქართული — სიცოცხლის ყვავილი (2 ს.).

ტელევიზია: 19.00 — კონცერტი მოსწავლეთათვის, 19.25 — პასუხი ტელემაყურებელთა შეკითხვებზე, 19.40 — მოკლემეტრაჟიანი ფილმი — „ფრიდრიხ შილერი“, 20.45 — ახალი ამბები, 20.55 — მხატვრული ფილმი — „ევგენია გრანდე“.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 8-63-03, 8-82-05. პასუხისმგებელი მდივნის — 8-72-80. სამდივნოსი — 8-81-65, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და საბჭოთა მშენებლობის — 8-81-84, მარქსისტულ-ლენინური თეორიის, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 8-57-61, სოფლის მეურნეობის — 8-82-46, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 8-80-84, წერილების — 8-73-24, ინფორმაციის — 8-16-90, ილუსტრაციო — 8-20-48, მუშაოფლკორთა კაბინეტის — 8-08-67, განცხადებების მიღების — 8-64-42.

უე 08920 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.